

საქართველოს არბიტრთა ასოციაციის
I ეროვნული შეჯიბრი კომერციულ არბიტრაჟში



9 – 11 აპრილი, 2021 წელი

ქ. თბილისი

სარჩევი

შეტყობინება საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ (შემდგომში „შეტყობინება“)	- 1 -
დანართი No. 1 - შპს თარსისის პარტნიორთა შეთანხმება	- 7 -
დანართი No. 2 - შპს თარსისის პარტნიორთა გადაწყვეტილება	- 12 -
დანართი No. 3 - შპს თარსისის წესდება	- 13 -
დანართი No. 4 - შპს თარსისის ამონაწერი რეესტრიდან	- 19 -
დანართი No. 5 - შპს თორის წერილი გიორგი კაკაურიძეს	- 21 -
დანართი No. 6 - გიორგი კაპანაძესა და გიორგი კაკაურიძეს შორის მიმოწერა WhatsApp-ის მეშვეობით	- 22 -
დანართი No. 7 - მოსაწვევი შპს თარსისის პარტნიორთა კრებაზე	- 23 -
დანართი No. 8 - გიორგი კაკაურიძეს წერილი გიორგი კაპანაძეს	- 24 -
დანართი No. 9 - შპს თარსისის პარტნიორთა კრების პირველი ოქმი	- 25 -
დანართი No. 10 - მოსაწვევი შპს თარსისის პარტნიორთა მეორე კრებაზე	- 26 -
დანართი No. 11 - შპს თარსისის პარტნიორთა მეორე კრების ოქმი	- 27 -
დანართი No. 12 - გიორგი კაკაურიძეს მოთხოვნა გასვლის შესახებ	- 28 -
დანართი No. 13 - ექსპერტის წერილი კომპანიასა და გიორგი კაპანაძეს	- 29 -
დანართი No. 14 - ექსპერტის შეხსენება ინფორმაციის დამატებით მოთხოვნის თაობაზე	- 30 -
დანართი No. 15 - გიორგი კაპანაძის პასუხი ექსპერტის წერილზე	- 31 -
დანართი No. 16 - ექსპერტის წერილი დასკვნის მოუმზადებლობის თაობაზე	- 32 -
დანართი No. 17 - გიორგი კაკაურიძის რწმუნებულება	- 33 -
გიორგი კაპანაძის პასუხი საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინებაზე	- 34 -
დანართი No. 1 - შპს ჯორჯიან გუდზ-ის ამონაწერი რეესტრიდან	- 42 -
დანართი No. 2 - ამონარიდი შპს ჯორჯიან გუდზ-ის წესდებიდან	- 44 -
დანართი No. 3- მიმოწერა	- 45 -

დანართი No. 4 - გიორგი კაპანაძის რწმუნებულება.....	- 46 -
შპს თარსისის განცხადება	- 47 -
დანართი No. 1 - რწმუნებულება.....	- 49 -
მიმართვა ა(ა)იპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის“ მმართველ საბჭოს საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირებაზე.....	- 50 -
ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მმართველი საბჭოს 2020 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაკომპლექტების შესახებ	- 52 -
არბიტრის თანხმობა და მისი მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის დადასტურება N1 ...	- 54 -
არბიტრის თანხმობა და მისი მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის დადასტურება N2 ...	- 56 -
არბიტრის თანხმობა და მისი მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის დადასტურება N3 ...	- 58 -
შეტყობინება საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაკომპლექტებაზე	- 60 -
პროცედურული დადგენილება N1	- 62 -
პროცედურული დადგენილება N2	67

შეტყობინება საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ (შემდგომში „შეტყობინება“)

(საქართველოს არბიტრაჟო ასოციაციის *ad hoc* საარბიტრაჟო წესების მე-9 მუხლის შესაბამისად)

I. საარბიტრაჟო დავის მხარეები:

საარბიტრაჟო მოსარჩელე

გიორგი კაკაურიძე (პ/ნ: 01001053299)

მისამართი: ქ. თბილისი, ფატმანის ქუჩა N15

ტელეფონის ნომერი: 577-00-00-01

ელექტრონული ფოსტის მისამართი: georgekakauidze@gmail.com

სამართლებრივი წარმომადგენელი:

კაილო ჰანსოლავა (პ/ნ: 91034004694)

მისამართი: ქ. თბილისი, სნოუკის ქუჩა N66

ტელეფონის ნომერი: 577-00-00-03

ელექტრონული ფოსტის მისამართი: Kylo@gmail.com

საარბიტრაჟო მოპასუხეები:

გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 01001060287)

მისამართი: ქ. თბილისი, ასმათის ქუჩა N2

ტელეფონის ნომერი: 599-00-00-02

ელექტრონული ფოსტის მისამართი: georgekapanadze@gmail.com

შპს თარსისი (ს/ნ 534892119)

მისამართი: ქ. თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა N1;

ტელეფონის ნომერი: 577-00-00-05

ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@tharsis.ge

1. წინამდებარე შეტყობინება, თანდართულ დოკუმენტებთან ერთად, წარმოდგენილია გიორგი კაკაურიძის (შემდგომში ასევე მოხსენიებული, როგორც „საარბიტრაჟო მოსარჩელე“) სახელით, საქართველოს არბიტრაჟო ასოციაციის *ad hoc* საარბიტრაჟო წესების მე-9 მუხლის შესაბამისად, გიორგი კაპანაძისა (შემდგომში ასევე მოხსენიებული, როგორც „პარტნიორი“/“საარბიტრაჟო მოპასუხე I”) და შპს თარსისის (შემდგომში ასევე მოხსენიებული, როგორც „კომპანია“/“საარბიტრაჟო მოპასუხე II”) წინააღმდეგ.

I. ფაქტობრივი გარემოებები

2. 2017 წლის 02 მაისს ჩემს მარწმუნებელ გიორგი კაკაურიძესა და მის პარტნიორ გიორგი კაპანაძეს შორის დაიდო პარტნიორთა შეთანხმება (დანართი 1), რომლითაც განისაზღვრა შპს თარსისის დაფუძნების ვალდებულება და დადგინდა პარტნიორთა შენატანის ოდენობა კომპანიის კაპიტალში. კერძოდ, გიორგი კაკაურიძის და გიორგი კაპანაძის მიერ უნდა მომხდარიყო 150,000.00 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით შენატანის განხორციელება, რომელიც ორივე პარტნიორის მიერ სრულად და ჯეროვნად შესრულდა.
3. 2017 წლის 03 მაისის დამფუძნებელ პარტნიორთა გადაწყვეტილებით (დანართი 2) დამტკიცდა კომპანიის წესდება (დანართი 3), რომლის 14.1 მუხლით განისაზღვრა, რომ „*კომპანიის პარტნიორთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს კომპანიის ხმის უფლების მქონე პარტნიორთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით.*“
4. ამავე გადაწყვეტილებით, კომპანიის დირექტორად დაინიშნა გიორგი კაპანაძე.
5. პარალელურად, იმავე დღეს (2017 წლის 3 მაისს), პარტნიორებმა მიმართეს საჯარო რეესტრს და დააფუძნეს კომპანია შპს თარსისი თანაბარი წილობრივი მონაწილეობით (დანართი 4).
6. კომპანიის წესდების მიხედვით, კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი სახის საქმიანობა, მათ შორის, შეუზღუდავად, ტყავის, ნაჭრის და სხვა პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია.
7. კომპანიამ დაფუძნების დღიდან წარმატებით დაიწყო ფუნქციონირება და მოკლე ვადაში მოახერხა საქართველოს ბაზრის ათვისება. ამასთან, გატარებული აქტიური მარკეტინგული ნაბიჯების შედეგად, შპს თარსისის პროდუქციაზე ინტერესი გაიზარდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც და 2018 წლიდან უკვე მოხდა უკრაინასა და აზერბაიჯანში პროდუქციის გატანა და რეალიზაცია. 2020 წლიდან იგეგმებოდა ასევე ყაზახეთის ბაზარზე შესვლა, თუმცა პანდემიიდან გამომდინარე, აღნიშნული საკითხი დროებით შეჩერდა.
8. მიუხედავად წარმატებული სტარტისა, ამ წლის დასაწყისიდან გიორგი კაპანაძის გადაწყვეტილებით, კომპანიამ დაიწყო რამდენიმე მომწოდებლის ჩანაცვლება, რის მიზეზადაც მან დაასახელა არსებული მომწოდებლების მიერ ტექსტილის ხარისხის გაუარესება. მისივე თქმით, ბაზარზე იყვნენ მომწოდებლები, რომელთაც შეეძლოთ უკეთესი ხარისხის ტექსტილის მოწოდება, ხოლო ფასები თითქმის იდენტური იყო. ჩემს მარწმუნებელს, გიორგი კაკაურიძეს წინააღმდეგობა არ გაუწევია, რადგან გიორგი კაპანაძეს მასზე ღრმა ცოდნა და გამოცდილება ჰქონდა აღნიშნულ ინდუსტრიაში და შესაბამისად, ჩათვალა, რომ ეს ცვლილება კომპანიის განვითარებას შეუწყობდა ხელს. შესაბამისად, ჩანაცვლდა რამდენიმე ძირითადი მომწოდებელი.
9. 2020 წლის 20 აგვისტოს, ჩემმა მარწმუნებლებმა მიიღო წერილი კომპანიის ერთ-ერთი მომწოდებლისაგან, შპს თორი-სგან, რომლის დირექტორიც უთითებდა, რომ მას გარკვეული თანხა უკან უნდა გადაერიცხა გიორგისთვის (დანართი 5); როგორც ჩანს შპს თორი-ს წარმომადგენელმა გიორგი კაპანაძის ნაცვლად, შემთხვევით, ეს წერილი გამოუგზავნა საარბიტრაჟო მოსარჩელეს, გიორგი კაკაურიძეს. ამ წერილმა ცხადყო ის, რის შესახებაც ჩემს მარწმუნებელს რამდენიმე მისი ახლობელი აფრთხილებდა კიდევ, თუმცა გიორგი კაკაურიძე ამას არ იჯერებდა: რომ კომპანიის დირექტორი, გიორგი კაპანაძე, არღვევდა მის ფიდუციურ ვალდებულებას და იღებდა ე.წ. „ქეშბექს“ დადებული ტრანზაქციებიდან; ახსნა-განმარტებისათვის ჩემი მარწმუნებელი დაუკავშირდა

გიორგი კაპანაძეს აპლიკაცია ვოტსაფის მეშვეობით, თუმცა, მან ვერ მიიღო პასუხი მის კითხვებზე (დანართი 6).

10. ამის შემდეგ გიორგი კაპანაძე გაუჩინარდა და 2020 წლის 1 სექტემბერს, ჩემი მარწმუნებლისგან სრულიად მოულოდნელად, მოიწვია პარტნიორთა კრება 2020 წლის 12 სექტემბრისათვის (დანართი 7), რომლის დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხს წარმოადგენდა დამატებითი შენატანის გზით კომპანიის კაპიტალის გაზრდა. შენატანის განხორციელების მიზეზები და საჭიროება არ იყო განმარტებული.

11. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული საკითხი საერთოდ არ ყოფილა შეთანხმებული გიორგი კაკაურიძესთან და მისი შეფასებით, კომპანია არ საჭიროებდა კაპიტალის გაზრდას, გიორგი კაკაურიძე შეეცადა გიორგი კაპანაძესთან დაკავშირებას, რათა გაერკვია საერთოდ რას ეფუძნებოდა ეს საჭიროება. გიორგი კაპანაძემ მის ზარებს და შეტყობინებებს არ უპასუხა, რის შემდგომაც, 2020 წლის 10 სექტემბერს გიორგი კაკაურიძემ წერილობით მიმართა გიორგი კაპანაძეს და აცნობა, რომ იგი ვერ ხედავდა დღის წესრიგით დაყენებული საკითხის აქტუალობას ამ მომენტისთვის და არ ეთანხმებოდა მას (დანართი 8). ამასთანავე, გიორგი კაკაურიძემ მოითხოვა დამატებითი ინფორმაცია დღის წესრიგში დაყენებულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, იმის შესახებ, თუ რატომ გახდა საჭირო კომპანიის კაპიტალიზაცია.

12. აღნიშნული წერილი გიორგი კაპანაძემ დატოვა უპასუხოდ და მიიღო გადაწყვეტილება ახალი კრების ჩატარების თაობაზე (დანართი 9); ახალი კრების მოსაწვევის მიხედვით, კრება უნდა ჩატარებულიყო 2020 წლის 22 სექტემბერს (დანართი 10).

13. 2020 წლის 22 სექტემბერს, გიორგი კაკაურიძის გამოუცხადებლობის მიუხედავად, გიორგი კაპანაძემ ერთპიროვნულად ჩაატარა პარტნიორთა კრება და ხელი მოაწერა კრების ოქმს, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა, რომ კომპანიის თითოეულ პარტნიორს კაპიტალში უნდა შეეტანა 150,000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარი, გადაწყვეტილების მიღებიდან 10 კალენდარული დღის ვადაში (დანართი 11).

14. კომპანიის წესდების შესაბამისად, გიორგი კაპანაძეს არ ჰქონდა უფლება აღნიშნული გადაწყვეტილება მიეღო ერთპიროვნულად, რადგან წესდების 14.1 მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო მიღებული ერთხმად ორივე პარტნიორის მიერ.

15. 2020 წლის 28 სექტემბერს ჩემმა მარწმუნებლებმა მიწერა წერილი გიორგი კაპანაძეს, რომელშიც მიუთითა, რომ მასთან თანამშრომლობისა და მუშაობის შეუძლებლობიდან გამომდინარე, გიორგი კაკაურიძე იყენებდა კომპანიიდან გასვლის უფლებას პარტნიორთა შეთანხმების მე-7 მუხლის შესაბამისად (დანართი 12).

16. პარტნიორთა შეთანხმების მე-7 მუხლი არეგულირებდა პარტნიორთა გასვლის პროცედურას და ითვალისწინებდა, რომ იმ შემთხვევაში, თუ გასვლის მოთხოვნის შემდეგ, ექსპერტის დასკვნა არ იქნებოდა მომზადებული შეთანხმებაში მითითებულ ვადაში, ნებისმიერი მიზეზით, გამსვლელი პარტნიორის მიმართ გადახდილი უნდა ყოფილიყო კომპენსაცია 500,000 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობით, შეთანხმებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე, რომლის გადახდის ვალდებულებაც, როგორც კომპანიას, ისე მოწინააღმდეგე პარტნიორს, დაეკისრებოდათ სოლიდარულად, ექსპერტის დასკვნის მომზადების ვადის უშედეგოდ გასვლის დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში. ამასთანავე, პარტნიორთა შეთანხმების მე-7 მუხლი ითვალისწინებდა პირგასამტეხლოს, ერთის მხრივ, ექსპერტისათვის დოკუმენტების მიუწოდებლობის შემთხვევაში

(50,000 აშშ დოლარი), და მეორე მხრივ, გამსვლელი პარტნიორისათვის ანაზღაურების ვადაგადაცილების შემთხვევაში (ყოველ ვადაგადაცილებული დღისათვის, ანაზღაურების 0.1 %-ის ოდენობით).

17. ამასთან, ცხადი იყო, რომ პარტნიორთა შეთანხმების მე-7 მუხლით განსაზღვრულ 30 დღიან მოლაპარაკების ვადას აზრი ჰქონდა დაკარგული, რადგან მხარეებს შორის უკვე საკმაოდ დამაბული მდგომარეობა იყო და აშკარა იყო, რომ მას არავითარი შედეგი არ მოჰყვებოდა. აღსანიშნავია, რომ გიორგი კაპანაძეს ჩემი მარწმუნებლის მიერ დაყენებულ არც ერთ საკითხზე პასუხი არ ჰქონდა გაცემული და ამასთან, მან ერთპიროვნულად მიიღო არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

18. პარტნიორთა შეთანხმების მე-7 მუხლით განსაზღვრული წესის შესაბამისად, ჩემმა მარწმუნებლებმა მიმართა საექსპერტო კომპანიას (შპს დაქსოსს) რათა დადგენილიყო მისთვის გადასახდელი კომპენსაციის ოდენობა (დანართი 12).

19. 2020 წლის 29 სექტემბერს, დასკვნის მომზადებისთვის ექსპერტმა მოითხოვა დამატებითი ინფორმაცია და დოკუმენტაცია როგორც პარტნიორებისგან, ისე კომპანიისგან (დანართი 13). საარბიტრაჟო მოსარჩელეს აღნიშნული დოკუმენტაცია არ ჰქონდა და მისი მიწოდების ვალდებულებად ეკისრებოდათ საარბიტრაჟო მოპასუხეებს მოთხოვნიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში პარტნიორთა შეთანხმების მე-7 მუხლის შესაბამისად; წინააღმდეგ შემთხვევაში, განსაზღვრული იყო პირგასამტეხლო 50,000 აშშ დოლარის ოდენობით.

20. 2020 წლის 9 ოქტომბერსაც საექსპერტო კომპანიამ დამატებით, მიწერა იგივე წერილი და მოითხოვა დოკუმენტაციის მიწოდება (დანართი 14) რაზედაც გიორგი კაპანაძემ, მიუთითა, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელეს საერთოდ არ გააჩნდა გასვლის უფლება და რომც ჰქონოდა, მოთხოვნილი დოკუმენტები ისედაც ჰქონდა გიორგი კაკაურიძეს (დანართი 15), რაც წარმოადგენს სიცრუეს.

21. ექსპერტმა 2020 წლის 30 ოქტომბერს პარტნიორებსა და კომპანიას აცნობა, რომ მის მიერ ვერ მოხდებოდა მოთხოვნილი დასკვნის მომზადება, რადგან დოკუმენტაცია და ინფორმაცია სრულად არ ყოფილა წარმოდგენილი (დანართი 16).

22. შესაბამისად, საექსპერტო დასკვნის მომზადებისთვის დადგენილი 30 (ოცდაათი) დღიანი ვადის უშედეგოდ ამოწურვის შემდეგ, საარბიტრაჟო მოპასუხეებს, პარტნიორთა შეთანხმების მე-7 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, წარმოეშვათ გიორგი კაკაურიძისათვის კომპენსაციის სახით 500,000.00 (ხუთასი ათასი) აშშ დოლარის და პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულება.

II. საარბიტრაჟო მოთხოვნები და მათი ოდენობა

23. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო მოსარჩელე წინამდებარე საარბიტრაჟო განაცხადით ითხოვს რომ:

i. საარბიტრაჟო ტრიბუნალმა დაადგინოს, რომ მას აქვს მხარეთა შორის წარმოშობილი დავის განხილვის კომპეტენცია;

ii. ბათილად იქნეს ცნობილი შპს თარსისის პარტნიორთა კრების 2020 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილება;

iii. აღიარებულ იქნეს გიორგი კაკაურიძე გასულ პარტნიორად და დაეკისროს შპს თარსისის და გიორგი კაპანაძეს სოლიდარულად, 500,000 აშშ დოლარის გადახდა საარბიტრაჟო მოსარჩელის სასარგებლოდ;

ალტერნატიულად:

- აღიარებულ იქნეს გიორგი კაკაურიძე გასულ პარტნიორად და დაეკისროს შპს თარსისის წილის საბაზრო ღირებულების, 300,000.00 (სამასი ათასი) აშშ დოლარის სახით კომპენსაციის გადახდა.
- iv. დაეკისროს შპს თარსისის და გიორგი კაპანაძეს სოლიდარულად საარბიტრაჟო მოსარჩელის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს გადახდა 2020 წლის 05 ნოემბრიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 500,000 აშშ დოლარის 0.1%-ის ოდენობით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებამდე;
- v. დაეკისროს შპს თარსისის და გიორგი კაპანაძეს სოლიდარულად, პირგასამტეხლოს გადახდა, 50,000 აშშ დოლარის ოდენობით საარბიტრაჟო მოსარჩელის სასარგებლოდ;
- vi. დაეკისროს შპს თარსისის და გიორგი კაპანაძეს საარბიტრაჟო ხარჯების და საარბიტრაჟო მოსარჩელის წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურება.

III. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები

24. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 319-ე, 399-ე მუხლები და ასევე, მხარეთა შორის დადებული პარტნიორთა შეთანხმების მე-7 მუხლი, საქართველოს კანონი მეწარმეთა შესახებ და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის რელევანტური ნორმები.

IV. საარბიტრაჟო შეთანხმება და გამოსაყენებელი სამართალი

25. საარბიტრაჟო შეთანხმება და გამოსაყენებელი სამართალი მოცემულია კომპანიის წესდების მე-19 მუხლში:

19.1.წინამდებარე წესდებისაგან გამომდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.

19.2 ნებისმიერი დავა, რომელიც გამომდინარეობს პარტნიორთა ნებისმიერი უფლების განხორციელებიდან, უნდა გადაწყდეს არბიტრაჟის გზით, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით, ააიპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის ad hoc საარბიტრაჟო წესების მიხედვით; დავას გადაწყვეტს ამ წესების შესაბამისად დანიშნული სამი არბიტრი. საარბიტრაჟო განხილვის ადგილად განისაზღვროს ქ. თბილისი, საქართველო; საარბიტრაჟო განხილვა წარიმართოს ქართულ ენაზე.


V. არბიტრი კანდიდატურა:

26. საარბიტრაჟო მოსარჩელე არბიტრად ნიშნავს მარიამ ოზიაშვილს (პ/ნ 01000000001).

გიორგი კაკაურიძის სახელით:

კაილო ჰანსოლავა,

ხელმოწერა:



(ხელმოწერილია)

10 ნოემბერი, 2020.

შეტყობინების დანართები

დანართი No. 1 - შპს თარსისის პარტნიორთა შეთანხმება

დანართი No. 2 - შპს თარსისის პარტნიორთა გადაწყვეტილება

დანართი No. 3 - შპს თარსისის წესდება

დანართი No. 4 - შპს თარსისის ამონაწერი რეესტრიდან

დანართი No. 5 - შპს თორის წერილი გიორგი კაკაურიძეს

დანართი No. 6 - გიორგი კაპანაძესა და გიორგი კაკაურიძეს შორის მიმოწერა

დანართი No. 7 - მოსაწვევი შპს თარსისის პარტნიორთა კრებაზე

დანართი No. 8 - გიორგი კაკაურიძეს წერილი გიორგი კაპანაძეს

დანართი No. 9 - შპს თარსისის პარტნიორთა კრების პირველი ოქმი

დანართი No. 10 - მოსაწვევი შპს თარსისის პარტნიორთა მეორე კრებაზე

დანართი No. 11 - შპს თარსისის პარტნიორთა მეორე კრების ოქმი

დანართი No. 12 - გიორგი კაკაურიძეს მოთხოვნა გასვლის შესახებ

დანართი No. 13 - ექსპერტის წერილი კომპანიასა და გიორგი კაპანაძეს

დანართი No. 14 - ექსპერტის შეხსენება ინფორმაციის დამატებით მოთხოვნის თაობაზე

დანართი No. 15 - გიორგი კაპანაძის პასუხი ექსპერტის წერილზე

დანართი No. 16 - ექსპერტის წერილი დასკვნის მოუზღადავებლობის თაობაზე

დანართი No. 17 - გიორგი კაკაურიძის რწმუნებულება

დანართი No. 1 - შპს თარსისის პარტნიორთა შეთანხმება

ადგილი: ქ. თბილისი

თარიღი: 02.05.2017

- ერთი მხრივ, გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 01001060287), (მისამართი: ქ. თბილისი, ასმათის ქუჩა N2) (შემდგომში “პარტნიორი No. 1”);
- მეორე მხრივ, გიორგი კაკაურიძე (პ/ნ: 01001053299), (მისამართი: ქ. თბილისი, ფატმანის ქუჩა N15), (შემდგომში “პარტნიორი No. 2”);

შემდგომში ერთობლივად წოდებული როგორც „მხარეები“ ან/და „პარტნიორები“; ხოლო ცალ-ცალკე მოხსენიებული, როგორც „მხარე“ ან/და „პარტნიორი“;

იმის გათვალისწინებით, რომ:

- მხარეთა მიზანია, საქართველოში დაიწყონ ტექსტილის, ტყავის ნაწარმის, ნაჭრის და სხვა ნაწარმისაგან სხვადასხვა პროდუქტის დამზადება (არაგამომრიცხავად საფულეები, ჩანთები, ტანსაცმელი) და როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ მათი საბითუმოდ სარეალიზაციოდ გატანა;
- ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად, მხარეთა სურვილია დაფუძნდეს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სახელწოდებით „თარსისი“ (შემდგომში „კომპანია“), რომელშიც თითოეულ მხარეს ექნება კომპანიის კაპიტალში 50% საკუთრებაში;
- მხარეთა ნებაა, კომპანიის დაფუძნებიდან, პირველი 5 წლის განმავლობაში, კომპანიის დირექტორად დაინიშნოს ერთ-ერთი პარტნიორი, თუმცა, კომპანიის საქმიანობა უნდა წარმართოს გუნდურობის პრინციპზე დაყრდნობითა და კომპანიის მიერ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიღებულ უნდა იქნეს ერთობლივად, მხარეების მიერ;

მხარეები ვდებთ წინამდებარე შეთანხმებას (შემდგომში „შეთანხმება“) შემდეგზე:

მუხლი 1. კომპანიის დაფუძნება

- 1.1. წინამდებარე შეთანხმების ხელმოწერიდან არაუგვიანეს 1 (ერთ) სამუშაო დღეში, მხარეები, ერთობლივად, ან/და ერთ-ერთი მათგანის მეშვეობით, ვალდებულნი არიან მიმართონ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიული პირს – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს (შემდგომში „საჯარო რეესტრი“) და წარადგინონ კომპანიის სარეგისტრაციოდ აუცილებელი დოკუმენტები, წინამდებარე შეთანხმების შესაბამისად.
- 1.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარო რეესტრის მიერ, წინამდებარე შეთანხმების 1.1. მუხლის საფუძველზე წარდგენილი განცხადების შედეგად დაწყებული წარმოება შეჩერდება რაიმე ხარვეზის მითითებით, მხარეები ვალდებულნი არიან, მითითებული ხარვეზის გამოსასწორებლად იმოქმედონ ერთობლივად და გამოსასწორონ ის მის გამოსასწორებლად დადგენილი ვადის გასვლამდე.

მუხლი 2. კომპანიის პარტნიორები

2.1. მხარეების მიერ დასაფუძნებელ კომპანიის კაპიტალში, მონაწილეობა განისაზღვრება შემდეგნაირად:

- 2.1.1. გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 01001060287), (მისამართი: ქ. თბილისი, ასმათის ქუჩა N2) - კომპანიის კაპიტალში 50% წილის მესაკუთრე;

2.1.2. გიორგი კაკაურიძე (პ/ნ: 01001053299), (მისამართი: ქ. თბილისი, ფატმანის ქუჩა N15) - კომპანიის კაპიტალში 50% წილის მესაკუთრე;

მუხლი 3. კომპანიის კაპიტალი, დამატებითი შენატანები და მათი განხორციელების და უკან დაბრუნების წესი

- 3.1. თითოეული პარტნიორი, იღებს ვალდებულებას, კომპანიის დაფუძნებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში, განახორციელოს კომპანიის კაპიტალში შენატანი 150,000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით.
- 3.2. კომპანიის კაპიტალში დამატებითი შენატანების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს კომპანიის პარტნიორთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრება დამატებითი შენატანების ფორმა, ოდენობა და შეტანის ვადა.
- 3.3. დამატებითი შენატანის უკან დაბრუნების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კომპანიის პარტნიორთა საერთო კრება. ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრება შენატანის უკან დაბრუნების ფორმა, ოდენობა და დაბრუნების თარიღი.

მუხლი 4. პარტნიორების უფლებები

- 4.1. თითოეულ პარტნიორს უფლება აქვს, მართოს თავისი წილი პირადად, ან წარმომადგენლის მეშვეობით.
- 4.2. თითოეულ პარტნიორს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში, რაც გულისხმობს საერთო კრების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებას, მონაწილეობას დღის წესრიგში შეტანილი ნებისმიერი საკითხის განხილვაში.
- 4.3. თითოეულ პარტნიორს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ. კომპანიის დირექტორ(ებ)მა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მას აღნიშნული ინფორმაცია და ნება დართონ, გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.
- 4.4. თითოეულ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და კომპანიის ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. თითოეულ პარტნიორს უფლება აქვს შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს კომპანიის დოკუმენტაციას უშუალოდ ან მის მიერ (საკუთარი ხარჯებით) მოწვეული სპეციალისტის მეშვეობით. თითოეულ პარტნიორს უფლება აქვს კომპანიის ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები კომპანიის პარტნიორთა საერთო კრებისათვის წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მაგრამ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიშში არსებითი შეცდომაა, ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯები ეკისრება კომპანიას.
- 4.5. თითოეულ პარტნიორს აქვს დივიდენდის მიღების უფლება. დივიდენდი გაიცემა საერთო კრების გადაწყვეტილებით წლიური ან შუალედური მოგების საფუძველზე.

მუხლი 5. წილების განკარგვის აკრძალვა

- 5.1. მხარეები ერთმანეთის წინაშე იღებენ ვალდებულებას, მეორე მხარის წინასწარი თანხმობის გარეშე, არ განახორციელონ:
 - 5.1.1. მათი წილების ნებისმიერი ფორმით (როგორც უსასყიდლოდ, ისე სასყიდლიანად) განკარგვა, გასხვისება, სხვის საკუთრებაში ან/და მმართველობაში გადაცემა;
 - 5.1.2. მათი წილების ნებისმიერი ფორმით უფლებრივად დატვირთვა;
 - 5.1.3. პარტნიორთა უფლებების ან/და ხმის უფლებების განხორციელებასთან დაკავშირებით შეთანხმების დადება;
 - 5.1.4. რწმუნებულების გაცემა სხვა მხარისთვის, რომელსაც გააჩნია პარტნიორთა უფლებების ან/და ხმის უფლებების განხორციელების უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც რწმუნებულება გაცემულია სხვა პარტნიორზე ან ადვოკატზე/წარმომადგენელზე ან/და საკუთარი ინტერესების დასაცავად.

მუხლი 6. კონკურენციის აკრძალვა და კომერციული შანსების გამოყენება

- 6.1. მხარეები აცნობიერებენ რომ მათ ერთმანეთს შეიძლება მიაწოდონ ინფორმაცია სავაჭრო და კომერციულ საიდუმლოებებზე, მომხმარებლებზე და სხვა კონფიდენციალურ ინფორმაციებზე. მხარეები თანხმდებიან, რომ დაიცავენ ასეთი ინფორმაციების საიდუმლოებას და არ გამოიყენებენ მას თავად ან არ გაუშვებენ მას ნებისმიერ მესამე პირს.
- 6.2. კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების გარეშე, კომპანიის პარტნიორები, ისევე, როგორც მისი აფილირებული პირები არ არიან უფლებამოსილნი ფლობდნენ, მართონ, ოპერირება გაუწიონ ან სხვაგვარად ჩაერთონ ნებისმიერ იმ ბიზნესში რაც შინაარსობრივად მსგავსია ან კონკურენტულია კომპანიის ან პარტნიორების საქმიანობასთან მიმართებაში.
- 6.3. ამ მუხლით გათვალისწინებული ვალდებულებები ძალაშია ამ შეთანხმების ძალაში ყოფნის პერიოდში და ამ მუხლის გაუქმებიდან 1 წლის ვადაში.
- 6.4. თუ კი პარტნიორი, დირექტორი ან კომპანიის მიმართ ფიდუციალური ვალდებულების მქონე ნებისმიერი სხვა პირისათვის ცნობილი გახდება, ან ის განავითარებს, შექმნის, გამოიგონებს, აღმოაჩენს ნებისმიერ პროექტს, ინვესტიციას, საწარმოს, ტრანზაქციას ან სხვა კომერციულ (ბიზნესს) შანსს, რაც მსგავსია, იგივე სფეროშია ან კონკურენტულია კომპანიის საქმიანობასთან მიმართებაში, მაშინ ასეთი პირები ვალდებული არიან ასეთი კომერციული შანსის შესახებ დაუყოვნებლივ შეატყობინონ კომპანიას და პარტნიორებს და ვალდებული არიან მაქსიმალური ძალისხმევა მიიღონ რათა კომპანიამ გამოიყენოს ეს კომერციული შანსი, განახორციელოს შესაბამის ინვესტიცია ან რაიმე ფორმით მონაწილეობა მიიღოს მასში.
- 6.5. მხარეები პასუხისმგებელი იქნებიან ამ მუხლის დარღვევის შედეგად კომპანიისათვის ან პარტნიორებისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე.

მუხლი 7. კომპანიიდან პარტნიორთა გასვლა

- 7.1. კომპანიის პარტნიორებს, წინამდებარე მუხლის 7.2 პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობების დადგომის შემთხვევაში, წინამდებარე მუხლით დადგენილი პროცედურით, წარმოეშვებათ კომპანიიდან გასვლის უფლება.
- 7.2. იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორთა კრების (როგორც მორიგი, ისე რიგგარეშე) დღის წესრიგში მითითებული საკითხი ეხება: ა) საწარმოს რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციას; ბ) შენატანების უკან დაბრუნებას; გ) დირექტორების დანიშვნას და გამოწვევას, მათთან ხელშეკრულებების დადებას და შეწყვეტას, აგრეთვე, მათი ანგარიშების დამტკიცებას; დ) ახალი/დამატებითი შენატანების გზით კომპანიის კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებას; ე) კომპანიის კაპიტალში შენატანის შეტანის ვადის განსაზღვრას; და პარტნიორები ვერ მიაღწევენ შეთანხმებას მათ თაობაზე პარტნიორთა კრებაზე (შემდგომში „ჩიხური მდგომარეობა“), მაშინ პარტნიორებმა, კრების უშედეგოდ დასრულების დღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, უნდა ცადონ მოლაპარაკება, ხოლო ამ ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ამ ვადის (30 კალენდარული დღის) გასვლიდან 15 კალენდარული დღის ვადაში, ის პარტნიორი (შემდგომში „გამსვლელი პარტნიორი“), რომელიც ეწინააღმდეგება დღის წესრიგში დაყენებულ საკითხს, უფლებამოსილია:
 - 7.2.1. წინამდებარე შეთანხმებაში გათვალისწინებულ საკომუნიკაციო ელ-ფოსტაზე გაუგზავნოს მოწინააღმდეგე პარტნიორს და კომპანიას მოთხოვნა კომპანიიდან გასვლის თაობაზე;
 - 7.2.2. შპს „დაქსოსი“-ს (ს/ნ: 936022212) (შემდგომში „ექსპერტი“), ცალმხრივი მიმართვის საფუძველზე (შემდეგ ელ-ფოსტაზე: Daxox@gmail.com) მოსთხოვოს მისი წილის კომპენსაციის ოდენობის დადგენა ექსპერტის დასკვნის საფუძველზე (შემდგომში „ექსპერტის დასკვნა“);
- 7.3. ექსპერტის დასკვნა, ექსპერტის მიერ უნდა იქნეს გაცემული გამსვლელი პარტნიორის მიერ მისდამი მიმართვიდან 30 კალენდარული დღის ვადაში; ხოლო, კომპანია და მეორე (არაგამსვლელი) პარტნიორი, იღებენ ვალდებულებას, ექსპერტის მოთხოვნიდან ერთ სამუშაო დღეში გადასცენ მას მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტები; წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანიასა და პარტნიორს, სოლიდარულად დაეკისრებათ ჯარიმა 50, 000 აშშ დოლარის სახით;

- 7.4. *პარტნიორები*, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, ადასტურებენ, რომ მათთვის მისაღებია *ექსპერტის* კანდიდატურა და ეთანხმებიან *ექსპერტის* მიერ მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებას და მიღებულ დასკვნას, *გამსვლელი პარტნიორის* წილის სანაცვლოდ კომპანიის მიერ გადასახდელ კომპენსაციის ოდენობის და გამოთვლის წესის თაობაზე და *ექსპერტის* დასკვნის *კომპანიისა* და *პარტნიორისადმი* მათ საკომუნიკაციო ელ-ფოსტაზე მიწოდებიდან 10 სამუშაო დღეში, *კომპანიამ* უნდა გადაუხადოს *გამსვლელ პარტნიორს* *ექსპერტის* დასკვნით დადგენილი კომპენსაცია;
- 7.5. *პარტნიორები* თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ *ექსპერტის* დასკვნა არ იქნება მომზადებული შეთანხმებაში მითითებულ ვადაში, ნებისმიერი მიზეზით, *გამსვლელი პარტნიორის* მიმართ გადახდილ უნდა იქნეს კომპენსაცია 500,000 (ხუთასი აშშ დოლარის) ოდენობით (შემდგომში „*ანაზღაურება*“), შეთანხმებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე, რომლის გადახდის ვალდებულებაც, როგორც *კომპანიას*, ისე მოწინააღმდეგე *პარტნიორს*, დაეკისრებათ სოლიდარულად, *ექსპერტის* დასკვნის მომზადების ვადის უშედეგოდ გასვლის დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში;
- 7.6. წინამდებარე *შეთანხმების* 7.5 მუხლში მითითებულ ვადაში, ანაზღაურების გადაუხდელობის შემთხვევაში, *კომპანიასა* და მოწინააღმდეგე *პარტნიორს*, სოლიდარულად დაეკისრებათ პირგასამტეხლო, ყოველ ვადაგადაცილებული დღისათვის, ანაზღაურების 0.1 %-ის ოდენობით;
- 7.7. *პარტნიორები* თანხმდებიან, რომ *ექსპერტის* დასკვნის მომზადებიდან 5 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ, ხოლო, მისი მოუმზადებლობისას, ამისათვის დადგენილი 30 კალენდარული დღის ამოწურვიდან 5 კალენდარული დღის გასვლის შემდეგ, მოწინააღმდეგე *პარტნიორზე*, ავტომატურად გადადის *გამსვლელი პარტნიორის* საკუთრებაში არსებული კომპანიის წილის 50% და მოწინააღმდეგე *პარტნიორი*, უფლებამოსილია, ცალმხრივად მიმართოს *საჯარო რეესტრს* რეგისტრირებული მონაცემების ცვლილებებისათვის, ხოლო, *საჯარო რეესტრი* ვალდებულია, განახორციელოს რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების რეგისტრაცია რაიმე დამატებითი დოკუმენტის მოთხოვნის გარეშე.
- 7.8. ასევე, *პარტნიორები*, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად განმარტავენ, რომ *ანაზღაურების* ან კომპენსაციის ან სხვა ვალდებულების შესრულება არ წარმოადგენს მოწინააღმდეგე *პარტნიორზე* საკუთრების უფლების გადასვლის წინაპირობას ან დამაბრკოლებელ გარემოებას.

მუხლი 8. კომპანიის დირექტორი

- 8.1. *კომპანიის* საქმიანობას უხელმძღვანელებს ერთი დირექტორი.
- 8.2. *კომპანიის* დირექტორი შეიცვლება ყოველი ხუთი წლის შემდეგ, როტაციის პრინციპით; კერძოდ, *კომპანიის* დაფუძნებიდან პირველი 5 წლის განმავლობაში *კომპანიის* დირექტორი იქნება გიორგი კაპანაძე, ხოლო მომდევნო ხუთი წლის განმავლობაში - გიორგი კაკაურიძე, მას შემდეგ გიორგი კაპანაძე და ა.შ.
- 8.3. *კომპანიის* დირექტორის უფლებამოსილების ფარგლები და პასუხისმგებლობა განისაზღვრება *კომპანიის* წესდებისა და წინამდებარე *შეთანხმების* მიხედვით.

მუხლი 9. წლიური ანგარიშის დამტკიცება

- 9.1. *კომპანიის* დირექტორი ვალდებული იქნება, სამეურნეო წლის დასრულებიდან ორი თვის ვადაში უზრუნველყოს *კომპანიის* ბალანსისა და *კომპანიის* საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის შედგენა, აგრეთვე მოგების განაწილების შესახებ წინადადებების მომზადება.
- 9.2. წლიური ანგარიში დასამტკიცებლად წარედგინება *პარტნიორთა* საერთო კრებას.
- 9.3. *პარტნიორთა* საერთო კრებაზე წლიური ანგარიშის დასამტკიცებლად წარდგენამდე *კომპანიის* დირექტორ(ებ)ი ვალდებულია უზრუნველყოს თითოეული *პარტნიორისათვის* ამ ანგარიშის ასლის მიწოდება.
- 9.4. თუ *კომპანიას* მოწვეული ჰყავს აუდიტორი, წლიურ ანგარიშს უნდა დაერთოს აუდიტორის დასკვნა.
- 9.5. დირექტორის მიერ მოწვეული აუდიტორი *კომპანიისაგან*, მისი *პარტნიორებისა* და დირექტორისაგან სამართლებრივად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი უნდა იყოს.

მუხლი 10. მხარეთა რეკვიზიტები

10.1. გიორგი კაპანაძის საკომუნიკაციო რეკვიზიტებია: 10.2. გიორგი კაკაურიძეს საკომუნიკაციო რეკვიზიტებია:

9.1.1. მისამართი: ქ. თბილისი, ასმათის ქუჩა N2

9.1.2. ელ-ფოსტა: georgekapanadze@gmail.com

10.2.1. მისამართი: ქ. თბილისი, ფატმანის ქუჩა N15

10.2.2. ელ-ფოსტა: georgekauridze@gmail.com

10.2.3. საბანკო ანგარიში:

10.2.3.1. ბანკი: სს საქართველოს ბანკი


10.2.3.2. ნომერი: 12141323523532523532

მუხლი 11. მხარეთა ხელმოწერები

გიორგი კაპანაძე (ხელმოწერილია)



გიორგი კაკაურიძე (ხელმოწერილია)



დანართი No. 2 - შპს თარსისის პარტნიორთა გადაწყვეტილება

თარიღი: 03/05/2017

ადგილი: ქ. თბილისი

- გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 01001060287), (მისამართი: ქ. თბილისი, ასმათის ქუჩა N2) (შემდგომში “პარტნიორი No. 1”);
- გიორგი კაკაურიძე (პ/ნ: 01001053299), (მისამართი: ქ. თბილისი, ფატმანის ქუჩა N15), (შემდგომში “პარტნიორი No. 2”);


ვლებულობთ შემდეგ გადაწყვეტილებებს:

1. დაფუძნებულ იქნას შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შემდეგი სახელწოდებით: **შპს თარსისი** (შემდგომში „კომპანია“).
2. დამტკიცებულ იქნას წინამდებარე გადაწყვეტილებაზე თანდართული კომპანიის წესდება.
3. კომპანიის პარტნიორებს წარმოადგენენ:
 - გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 01001060287), (მისამართი: ქ. თბილისი, ასმათის ქუჩა N2) - კომპანიის კაპიტალში 50% წილის მესაკუთრე;
 - გიორგი კაკაურიძე (პ/ნ: 01001053299), (მისამართი: ქ. თბილისი, ფატმანის ქუჩა N15) - კომპანიის კაპიტალში 50% წილის მესაკუთრე;
4. დანიშნულ იქნას გიორგი კაპანაძე, (პ/ნ: 01001060287), კომპანიის დირექტორად 5 წლის ვადით.
5. კომპანიის იურიდიულ მისამართად განისაზღვროს შემდეგი მისამართი: **ქ. თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა N1;**
6. დამტკიცებულ იქნას კომპანიის ელ-ფოსტის მისამართი: info@tharsis.ge
7. ამასთანავე, იმის გათვალისწინებით, რომ წინამდებარე გადაწყვეტილების მე-5 პუნქტში მითითებული უძრავი ქონება (ს/კ: 09.09.09.091) წარმოადგენს გიორგი კაპანაძის საკუთრებას, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, გიორგი კაპანაძე აქვე ადასტურებს, რომ გასცემს თანხმობას კომპანიის მიერ ზემოაღნიშნული იურიდიული მისამართის გამოყენების მიმართ;
8. ამასთანავე, ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, გიორგი კაპანაძე აქვე ადასტურებს, რომ თანახმაა დაიკავოს დირექტორის კომპანიის პოზიცია.

გიორგი კაპანაძე (ხელმოწერილია,
დამოწმებულია ნოტარიულად)



გიორგი კაკაურიძე (ხელმოწერილია,
დამოწმებულია ნოტარიულად)



დანართი No. 3 - შპს თარსისის წესდება

03 მაისი, 2017

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „თარსისი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსებულია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- 1.2. კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
- 1.3. კომპანიის საფირმო სახელწოდებაა:
ქართულად: შპს „თარსისი“
ინგლისურად: “Tharsis” LLC
- 1.4. კომპანიის არსებობის ხანგძლივობა არის უვადო.
- 1.5. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა N1.
- 1.6. კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართია: Info@tharsis.ge

მუხლი 2. კომპანიის საქმიანობის საგანი

- 2.1. კომპანიის მიზანია მოგების მიღება.
- 2.2. კომპანიას უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი სახის საქმიანობა, მათ შორის, შეუზღუდავად, წყავის, ნაჭრის და სხვა პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია.
- 2.3. საქმიანობას, რომლის განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზირება, სერტიფიცირება), კომპანია ახორციელებს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სათანადო ნებართვის (ლიცენზიის, სერტიფიკატის) მიღების შემდეგ.

მუხლი 3. კომპანიის პასუხისმგებლობის ფარგლები

- 3.1. კომპანია საკუთარ ვალდებულებებზე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით.
- 3.2. თუ პასუხისმგებლობა დადგა კომპანიის პარტნიორთა მიერ შეთანხმებული შენატანის სრულად შეტანამდე, პარტნიორები კომპანიის კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ მათ მიერ შეუტანელი შენატანიტაც.

მუხლი 4. კომპანიის პარტნიორები

- 4.1. კომპანიის პარტნიორები არიან და კომპანიის კაპიტალში მათი წილობრივი მონაწილეობა განისაზღვრება შემდეგნაირად:
 - გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 01001060287), (მისამართი: ქ. თბილისი, ასმათის ქუჩა N2) - კომპანიის კაპიტალში 50% წილის მესაკუთრე;
 - გიორგი კაკაურიძე (პ/ნ: 01001053299), (მისამართი: ქ. თბილისი, ფატმანის ქუჩა N15) - კომპანიის კაპიტალში 50% წილის მესაკუთრე;
- 4.2. პარტნიორთა ხმები განისაზღვრება კაპიტალში მათი წილების პროპორციულად.

მუხლი 5. დამატებითი შენატანები და მათი განხორციელების და უკან დაბრუნების წესი

- 5.1. კომპანიის კაპიტალში დამატებითი შენატანების შეტანა შესაძლებელია განხორციელდეს კომპანიის პარტნიორთა საერთო კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებით. ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრება დამატებითი შენატანების ფორმა, ოდენობა და შეტანის ვადა.

- 5.2. დამატებითი შენატანის უკან დაბრუნების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კომპანიის პარტნიორთა საერთო კრება. ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრება შენატანის უკან დაბრუნების ფორმა, ოდენობა და დაბრუნების თარიღი.

მუხლი 6. პარტნიორების უფლებები

- 6.1. პარტნიორები სარგებლობენ ამ წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებებით და ეკისრებათ შესაბამისი მოვალეობები.
- 6.2. თითოეულ პარტნიორს უფლება აქვს, მართოს თავისი წილი პირადად, ან წარმომადგენლის მეშვეობით.
- 6.3. თითოეულ პარტნიორს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს საზოგადოების მართვაში, რაც გულისხმობს საერთო კრების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების უფლებას, მონაწილეობას დღის წესრიგში შეტანილი ნებისმიერი საკითხის განხილვაში.
- 6.4. თითოეულ პარტნიორს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს ინფორმაცია საზოგადოების საქმიანობის შესახებ. კომპანიის დირექტორ(ებ)მა პარტნიორის მოთხოვნის საფუძველზე დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდონ მას აღნიშნული ინფორმაცია და ნება დართონ, გაეცნოს საზოგადოების წიგნებსა და ჩანაწერებს.
- 6.5. თითოეულ პარტნიორს აქვს წლიური ანგარიშის ასლისა და საზოგადოების ყველა პუბლიკაციის მიღების უფლება. თითოეულ პარტნიორს უფლება აქვს შეამოწმოს წლიური ანგარიშის სისწორე და ამ მიზნით გაეცნოს საზოგადოების დოკუმენტაციას უშუალოდ ან მის მიერ (საკუთარი ხარჯებით) მოწვეული სპეციალისტის მეშვეობით. თითოეულ პარტნიორს უფლება აქვს საზოგადოების ორგანოებს მოსთხოვოს განმარტებები კომპანიის პარტნიორთა საერთო კრებისათვის წლიური ანგარიშის წარდგენის შემდეგ, მაგრამ ამ ანგარიშის დამტკიცებამდე. თუ აღმოჩნდება, რომ ანგარიშში არსებითი შეცდომაა, ამ ანგარიშის შემოწმების ხარჯები ეკისრება კომპანიას.
- 6.6. თითოეულ პარტნიორს აქვს საკუთარი წილის გასხვისების ან/და დატვირთვის (დაგირავების) უფლება კომპანიის პარტნიორთა საერთო კრების წერილობითი თანხმობით. აღნიშნული თანხმობის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სხვა პარტნიორს აქვს წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.
- 6.7. თითოეულ პარტნიორს აქვს დივიდენდის მიღების უფლება. დივიდენდი გაიცემა საერთო კრების გადაწყვეტილებით წლიური ან შუალედური მოგების საფუძველზე.

მუხლი 7. პარტნიორების მოვალეობები

- 7.1. თითოეული პარტნიორი ვალდებულია შეიტანოს შენატანი (მათ შორის, დამატებითი შენატანი) კომპანიის კაპიტალში.
- 7.2. თითოეული პარტნიორი ვალდებულია არ გაამჟღავნოს ინფორმაცია, რომელიც კომპანიის გადაწყვეტილებით კონფიდენციალურად არის მიჩნეული, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
- 7.3. პარტნიორს ეკისრება პასუხისმგებლობა 7.2 მუხლით დადგენილი ვალდებულების დარღვევით საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის გამო.

მუხლი 8. კომპანიის პარტნიორთა საერთო კრება

- 8.1. კომპანიის უმაღლესი მმართველი ორგანოა კომპანიის პარტნიორთა საერთო კრება (შემდგომში „საერთო კრება“ ან „პარტნიორთა კრება“).
- 8.2. კომპანიის პარტნიორთა საერთო კრება ტარდება ყოველწლიურად, სამეურნეო წლის დასრულებიდან ორ თვეში.

მუხლი 9. კომპანიის პარტნიორთა რიგგარეშე კრება

- 9.1. კომპანიის პარტნიორს და/ან დირექტორ(ებ)ს უფლება აქვს ნების მიერ დროს მოიწვიოს კომპანიის პარტნიორთა რიგგარეშე კრება წერილობითი შეტყობინების გაგზავნით. წერილობით შეტყობინებაში უნდა მიეთითოს კრების დღის წესრიგი.

მუხლი 10. პარტნიორთა საერთო კრების მოწვევის წესი

- 10.1. კომპანიის პარტნიორთა საერთო კრება შესაძლებელია მოწვეულ იქნას კომპანიის იურიდიულ მისამართზე ან კომპანიის პარტნიორ(ებ)ის/ დირექტორ(ებ)ის მიერ განსაზღვრულ ნებისმიერ სხვა ადგილას.
- 10.2. კომპანიის პარტნიორი/დირექტორ(ებ)ი ვალდებულია მორიგი ან რიგგარეშე კრება მოიწვიოს კრების თარიღამდე არანაკლებ შვიდი (7) დღით ადრე ყველა პარტნიორისათვის დაზღვეული წერილით ან კომუნიკაციის ისეთი საშუალებით გაგზავნილი შეტყობინებით, რომელიც იძლევა ადრესატის მიერ ინფორმაციის მიღების დადასტურების შესაძლებლობას (მათ შორის, არაგამომრიცხავად, წინამდებარე წესდებაში განსაზღვრულ, კომპანიის პარტნიორთა ელექტრონული ფოსტის მისამართზე).
- 10.3. შეტყობინებაში უნდა მიეთითოს: კრების დღის წესრიგი, პარტნიორის/დირექტორის რეკომენდაციები დღის წესრიგის თითოეულ საკითხზე, კრების ჩატარების ადგილი (ზუსტი მისამართი) და ზუსტი დრო. თუ დღის წესრიგში შეტანილია საკითხი საზოგადოების წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების ან წესდების ახალი რედაქციის მიღების შესახებ, შეტყობინებას თან უნდა დაერთოს შესაბამისი პროექტი.
- 10.4. შეტყობინების მიღებიდან სამი (3) დღის ვადაში კომპანიის თითოეულ პარტნიორს შეუძლია დღის წესრიგში დამატებათა შეტანა კრების მომწვევი პარტნიორის/დირექტორისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით. საერთო კრება ვალდებულია განიხილოს დღის წესრიგში შეტანილი ყველა საკითხი, მათ შორის, დამატებით შეტანილი საკითხები.
- 10.5. საერთო კრების მოწვევა ამ მუხლით დადგენილი პროცედურის დარღვევით არ არის კრების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების ბათილობის საფუძველი, თუ პარტნიორი კრების დაწყებამდე არ განაცხადებს პროტესტს და მონაწილეობას მიიღებს კრების მუშაობაში.

მუხლი 11. პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებაუნარიანობა

- 11.1. საერთო კრება გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება/მასზე წარმოდგენილია ყველა პარტნიორი.

მუხლი 12. პარტნიორთა საერთო კრების მუშაობის წესი

- 12.1. პარტნიორებს უფლება აქვთ კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ პირადად და/ან წარმომადგენლის მეშვეობით. წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობისას წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დადასტურებელი დოკუმენტი (დედანი ან სათანადო წესით დამოწმებული ასლი) უნდა დაერთოს გადაწყვეტილებას.
- 12.2. პარტნიორებს უფლება აქვთ კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღონ ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ კონფერენციაში ჩართვით.
- 12.3. პარტნიორთა საერთო კრების მონაწილენი თავიანთი შემადგენლობიდან ერთხმად ირჩევენ კრების თავმჯდომარეს.
- 12.4. პარტნიორთა საერთო კრების მიმდინარეობისა და გადაწყვეტილების შესახებ ოქმს ადგენს და ხელს აწერს კრების თავმჯდომარე.

მუხლი 13. პარტნიორთა საერთო კრების კომპეტენცია

- 13.1. კომპანიის პარტნიორთა საერთო კრება იღებს გადაწყვეტილებებს შემდეგ საკითხებზე:
 - 13.1.1. წარმოების სახეებისა და სამეურნეო საქმიანობის დაწყება და მათი შეწყვეტა;
 - 13.1.2. საწარმოს სარეგისტრაციო განცხადების მონაცემებსა და წესდებაში ცვლილებების მიღება;
 - 13.1.3. კომპანიის ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია, ფილიალის დირექტორის დანიშვნა-გათავისუფლება;
 - 13.1.4. ინვესტიციების შესახებ, რომელთა ღირებულება ცალკე ან მთლიანად ერთ სამეურნეო წელიწადში აღემატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს.

- 13.1.5. ვალდებულებათა აღება, რომლებიც ცალკე ან მთლიანად აღმატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს
- 13.1.6. ვალდებულებათა უზრუნველყოფა, რომლებიც არ მიეკუთვნებიან ჩვეულებრივ საწარმოო საქმიანობას და რომელთა ღირებულება აღმატება საზოგადოების აქტივების ღირებულების 50%-ს
- 13.1.7. პროკურის გაცემა და გაუქმება;
- 13.1.8. წლიური შედეგების დამტკიცება;
- 13.1.9. აუდიტორის არჩევა;
- 13.1.10. საწარმოს რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
- 13.1.11. ხელმძღვანელ პირთათვის მოგებასა და საერთო შემოსავალში მონაწილეობისა და პენსიის მიცემის პრინციპების განსაზღვრა;
- 13.1.12. იმ დამატებითი უფლებების გამოყენება, რომლებიც კომპანიას, დაფუძნებიდან ან კომპანიის მართვიდან გამომდინარე, აქვს დირექტორის ან/და პარტნიორის მიმართ; ასევე კომპანიის წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომლებსაც იგი დირექტორების წინააღმდეგ წარმართავს;
- 13.1.13. დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება;
- 13.1.14. დირექტორების დანიშვნა და გამოწვევა, მათთან ხელშეკრულებების დადება და შეწყვეტა, აგრეთვე, მათი ანგარიშების დამტკიცება;
- 13.1.15. სამეთვალყურეო საბჭოს შექმნის შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
- 13.1.16. ახალი/დამატებითი შენატანების გზით საწარმოს კაპიტალის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღება.
- 13.1.17. კომპანიის კაპიტალში შენატანის შეტანის ვადის განსაზღვრა.

მუხლი 14. გადაწყვეტილების მიღება საერთო კრებაზე

- 14.1. კომპანიის პარტნიორთა საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს კომპანიის ხმის უფლების მქონე პარტნიორთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით.
- 14.2. გადაწყვეტილების მიღებისას კომპანიის პარტნიორთა ხმები განისაზღვრება მათი წილების პროპორციულად.
- 14.3. თუ გადაწყვეტილება შეეხება საზოგადოებასა და ერთ-ერთ პარტნიორს შორის დავას, მაშინ ამ პარტნიორს ხმის უფლება არა აქვს.

მუხლი 15. გადაწყვეტილების მიღება საერთო კრების მოწვევის გარეშე

- 15.1. საერთო კრების მოწვევა არ არის აუცილებელი, თუ ყველა პარტნიორი წერილობით დაეთანხმება განსახილველ საკითხს. წერილობითი თანხმობა კრების ოქმის ტოლფასია და ითვლება კრების გადაწყვეტილებად.
- 15.2. თითოეულ პარტნიორს უფლება აქვს წერილობითი თანხმობის გამოთქმამდე საკითხი განიხილოს სხვა პარტნიორებთან ვიდეო/აუდიო/ინტერნეტ კონფერენციაში ჩართვით.
- 15.3. პარტნიორის წერილობით თანხმობად ჩაითვლება კონკრეტულ საკითხზე მის მიერ ხელმოწერილი გადაწყვეტილების გამოგზავნა ჩვეულებრივი ან ელექტრონული ფოსტით კომპანიის მიერ ან პარტნიორების შეთანხმებით განსაზღვრულ მისამართზე.
- 15.4. ელექტრონული ფოსტის გამოყენების შემთხვევაში პარტნიორის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტი უნდა იყოს ხელმოწერილი (შესაძლებელია ხელმოწერილ იქნეს როგორც ჩვეულებრივი/კალმით, ისე კვალიფიციური ხელმოწერის მეშვეობით) და დასკანერებული.

მუხლი 16. კომპანიის დირექტორები

- 16.1. კომპანიის საქმიანობას ხელმძღვანელობს ერთი დირექტორი.
- 16.2. კომპანიის დირექტორი შესაძლებელია იყოს კომპანიის პარტნიორიც.

16.3. დირექტორის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების შეზღუდვა შესაძლებელია ამ წესდებაში შესაბამისი ცვლილების შეტანით.

მუხლი 17. დირექტორთა არჩევის წესი

- 17.1. დირექტორ(ებ)ს ირჩევს კომპანიის პარტნიორთა საერთო კრება (ან კომპანიის პარტნიორები კრების მოწვევის გარეშე ამ წესდების მე-15 მუხლით დადგენილი წესით), რომელიც ამავდროულად განსაზღვრავს დირექტორ(ებ)ის უფლებამოსილების ვადას.
- 17.2. დირექტორთან შეიძლება დაიდოს ხელშეკრულება, რომლითაც დარეგულირდება კომპანიასა და დირექტორს შორის ურთიერთობა.
- 17.3. დირექტორი შეიძლება გათავისუფლდეს ნებისმიერ დროს კომპანიის პარტნიორთა საერთო კრების გადაწყვეტილებით (კრების მოწვევის გარეშე ამ წესდების მე-15 მუხლით დადგენილი წესით მიღებული პარტნიორთა გადაწყვეტილებით), მიუხედავად მისი უფლებამოსილების ვადისა.

მუხლი 18. დირექტორის მოვალეობები და პასუხისმგებლობის ფარგლები

- 18.1. დირექტორი ვალდებულია, საზოგადოების საქმიანობას გაუმდევს კეთილსინდისიერად, კერძოდ, ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი ჩვეულებრივი, საღად მოაზროვნე პირი და მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ეს მოქმედება ყველაზე ხელსაყრელია საზოგადოებისათვის.
- 18.2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მოვალეობის დარღვევისათვის დირექტორი საზოგადოების წინაშე წარმოშობილი ზიანისათვის პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, პირდაპირ და უშუალოდ.
- 18.3. კომპანიას უფლება არა აქვს უარი თქვას რეგრესული ანაზღაურების მოთხოვნაზე ან წავიდეს კომპრომისზე, თუ ანაზღაურება აუცილებელია საზოგადოების კრედიტორთა დასაკმაყოფილებლად. თუ ანაზღაურება აუცილებელია, კომპანიის დირექტორის ვალდებულება არ წყდება იმის გამო, რომ ის მოქმედებდა პარტნიორთა გადაწყვეტილებების შესასრულებლად.
- 18.4. დირექტორს უფლება არა აქვს კომპანიის პარტნიორთა საერთო კრების თანხმობის გარეშე განახორციელოს იგივე საქმიანობა, რომელსაც ეწევა კომპანია, ან მონაწილეობა მიიღოს, როგორც მსგავსი ტიპის სხვა საზოგადოებაში პერსონალურად პასუხისმგებელმა პარტნიორმა ან დირექტორმა (ინტერესთა კონფლიქტი). ასეთი საქმიანობის განხორციელებაზე კომპანიის საერთო კრების მიერ თანხმობა მიცემულად ჩაითვლება, თუ საზოგადოების ხელმძღვანელად დანიშნვისას პარტნიორებისათვის ცნობილი იყო, რომ დირექტორი ეწეოდა ასეთ საქმიანობას და ამ საქმიანობის შეწყვეტა მისთვის აშკარად არ მოუთხოვიათ.
- 18.5. თუ დირექტორის მიერ ამ მუხლის მე-4 პუნქტში მოცემული ინტერესთა კონფლიქტის წესების დარღვევისას კომპანიას მიადგა ზიანი, დირექტორი ვალდებულია დათმოს კომპანიიდან გასამრჯელოს მიღების მოთხოვნის უფლება და აანაზღაუროს ზიანი. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს კომპანიის თითოეულ პარტნიორს.
- 18.6. დირექტორს უფლება არა აქვს საერთო კრების წინასწარი თანხმობის გარეშე, პირადი სარგებლის მიღების მიზნით გამოიყენოს საზოგადოების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა მისი მოვალეობების შესრულების ან თანამდებობრივი მდგომარეობის გამო. აღნიშნული ვალდებულება ძალაში რჩება თანამდებობიდან დირექტორის წასვლის შემდეგაც, მაგრამ არაუმეტეს 3 წლის ვადით.
- 18.7. დირექტორი ვალდებულია, უზრუნველყოს საზოგადოებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის კომერციული საიდუმლოების დაცვა. დირექტორს ეკისრება პასუხისმგებლობა ამ პუნქტით დადგენილი ვალდებულების დარღვევით საზოგადოებისათვის მიყენებული ზიანის გამო. ამ პუნქტით დადგენილი პასუხისმგებლობა გამოირიცხება, თუ დირექტორი მოქმედებდა საერთო კრების კანონიერი გადაწყვეტილების საფუძველზე და მის ფარგლებში.

მუხლი 19. დავის გადაწყვეტა და გამოსაყენებელი სამართალი

- 19.1. წინამდებარე წესდებდან გამომდინარე ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე.
- 19.2. ნებისმიერი დავა, რომელიც გამომდინარეობს პარტნიორთა ნებისმიერი უფლების განხორციელებიდან, უნდა გადაწყდეს არბიტრაჟის გზით, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით, ააიპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის *ad hoc* საარბიტრაჟო წესების მიხედვით; დავას გადაწყვეტს ამ წესების შესაბამისად დანიშნული სამი არბიტრი. საარბიტრაჟო განხილვის ადგილად განისაზღვროს ქ. თბილისი, საქართველო, საარბიტრაჟო განხილვა წარიმართოს ქართულ ენაზე.

მუხლი 20. წლიური ანგარიშის დამტკიცება

- 20.1. კომპანიის დირექტორი ვალდებულია, სამეურნეო წლის დასრულებიდან ორი თვის ვადაში უზრუნველყოს კომპანიის ბალანსისა და კომპანიის საქმიანობის შესახებ წლიური ანგარიშის შედგენა, აგრეთვე მოგების განაწილების შესახებ წინადადებების მომზადება.
- 20.2. წლიური ანგარიში დასამტკიცებლად წარედგინება პარტნიორთა საერთო კრებას.
- 20.3. პარტნიორთა საერთო კრებაზე წლიური ანგარიშის დასამტკიცებლად წარდგენამდე კომპანიის დირექტორ(ებ)ი ვალდებულია უზრუნველყოს თითოეული პარტნიორისათვის ამ ანგარიშის ასლის მიწოდება.
- 20.4. თუ კომპანიას მოწვეული ჰყავს აუდიტორი, წლიურ ანგარიშს უნდა დაერთოს აუდიტორის დასკვნა.
- 20.5. დირექტორის მიერ მოწვეული აუდიტორი კომპანიისაგან, მისი პარტნიორებისა და დირექტორისაგან სამართლებრივად და ეკონომიკურად დამოუკიდებელი უნდა იყოს.

მუხლი 21. საკომუნიკაციო მონაცემები


- | | |
|--|---|
| 21.1. გიორგი კაპანაძის საკომუნიკაციო რეკვიზიტებია: | 21.2. გიორგი კაკაურიძეს საკომუნიკაციო რეკვიზიტებია: |
| 21.1. მისამართი: ქ. თბილისი, ასმათის ქუჩა N2 | 21.2.1. მისამართი: ქ. თბილისი, ფატმანის ქუჩა N15 |
| 21.2. ელ-ფოსტა: georgekapanadze@gmail.com | 21.2.2. ელ-ფოსტა: georgekakauridze@gmail.com |

22. პარტნიორების ხელმოწერები

გიორგი კაპანაძე



გიორგი კაკაურიძე



დანართი No. 4 - შპს თარსისის ამონაწერი რეესტრიდან

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მოზადების თარიღი: B11111111, 08/11/2020 11:50:51

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს თარსისი
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 534892119
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 3/05/2017
მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა N1.
დამატებითი ინფორმაცია:
ელ. ფოსტა: info@tharsis.ge

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუუნარობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- პარტნიორთა კრება

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - გიორგი კაპანაძე, 01001060287

პარტნიორები

მესაკუთრე	წილი	წილის მმართველი
გიორგი კაპანაძე, 01001060287	50%	
გიორგი კაკაურიძე, 01001053299	50%	

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადალა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მომრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge , ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან; ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

<http://public.reestri.gov.ge/>

დანართი No. 5 - შპს თორის წერილი გიორგი კაკაურიძეს

from: Thor LLC <Thor.LLC@gmail.com>
to: **Giorgi Kakauridze** <georgekakauridze@gmail.com>
date: Aug 20, 2020, 12:10 PM
subject: Re: ხელშეკრულება
mailed-by: gmail.com
signed-by: gmail.com
security: Standard encryption (TLS)


სალამი გიორგი,

ძალიან კარგია ხელშეკრულება რომ დავდეთ, როგორც იქნა. ერთი კითხვა მაქვს უბრალოდ, რაც არ შეგვითანხმებია, ის ნაწილი, რაზეც ვისაუბრეთ, უკან სად გადმოგირიცხო?

პატივისცემით,

ნოდარი

დანართი No. 6 - გიორგი კაპანაძესა და გიორგი კაკაურიძეს შორის მიმოწერა WhatsApp-ის მეშვეობით



დანართი No. 7 - მოსაწვევი შპს თარსისის პარტნიორთა კრებაზე

from: **Giorgi Kapanadze** <georgekapanadze@gmail.com>
to: **Giorgi Kakauridze** <georgekakauridze@gmail.com>
date: Sep 1, 2020, 12:00 PM
subject: პარტნიორთა კრება
mailed-by: gmail.com
signed-by: gmail.com
security: Standard encryption (TLS)

მოსაწვევი შპს თარსისის (ს/ნ: 534892119) პარტნიორთა მორიგ კრებაზე

მოგესალმებით,

მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9¹(2) მუხლისა და შპს თარსისის (ს/ნ: 534892119) (შემდგომში „კომპანია“) წესდების 9.1. მუხლის საფუძველზე, შპს თარსისის (ს/ნ: 534892119) პარტნიორი, გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 37001008653), გიწვევთ *კომპანიის* პარტნიორთა მორიგ კრებაზე.

გთხოვთ იხილეთ ქვემოთ ინფორმაცია პარტნიორთა მორიგი კრების ჩატარების შესახებ და მისი დღის წესრიგი:

- პარტნიორთა მორიგი კრების ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა N1.
- პარტნიორთა მორიგი კრების ჩატარების დრო: 2020 წლის 12 სექტემბრის 12:00 საათი.
- პარტნიორთა მორიგი კრების დღის წესრიგი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. შპს თარსისის (ს/ნ:534892119) პარტნიორების მიერ დამატებით შენატანის განხორციელება

კომპანიის პარტნიორი - გიორგი კაპანაძე (ხელმოწერილია)

თარიღი: 1 /სექტემბერი/2020 წ.

დანართი No. 8 - გიორგი კაკაურიძეს წერილი გიორგი კაპანაძეს

from: **Giorgi Kakauridze** <georgekakauridze@gmail.com>
to: **Giorgi Kapanadze** <georgekapanadze@gmail.com>
date: Sep 10, 2020, 13:40 PM
subject: პარტნიორთა კრება
mailed-by: gmail.com
signed-by: gmail.com
security: Standard encryption (TLS)

შენ ნორმალური თუ ხარ?

რა წერილებს იწერები და კრებას იწვევ?! მაგას ჯობია ყურმილი აიღო და დავილაპარაკოთ. დამატებითი შენატანის შემოტანა?? ქეშბეჭი არ გყოფნის და ფული გინდა ამახიო კიდევ?????!

წადი რა, შანსი არაა, დამატებითი შენატანი შემოვიტანო.....ჩემ გარეშე კიდევ, ვერაფერს გადაწყვეტ ასე....

და საერთოდ, კომპანიის ფინანსური ანგარიში წარმომიდგინე - რა მდგომარეობაა. ველი!

დანართი No. 9 - შპს თარსისის პარტნიორთა კრების პირველი ოქმი

თარიღი: 12/სექტემბერი/2020

ადგილი: ქ. თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა N1

იმის გათვალისწინებით, რომ:

- 2020 წლის 1 სექტემბერს, შპს თარსისის (ს/ნ: 534892119) პარტნიორის, გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 37001008653) მიერ, 2020 წლის 12 სექტემბრის 12:00 საათისთვის, მოწვეულ იქნა პარტნიორთა მორიგი კრება, რომლის დღის წესრიგსაც წარმოადგენდა შემდეგი: შპს თარსისის (ს/ნ: 534892119) პარტნიორების მიერ დამატებით შენატანის განხორციელება (**დანართი N1-ში მოცემული მოსაწვევი**).
- 2020 წლის 1 სექტემბერსვე, შპს თარსისის (ს/ნ: 534892119) პარტნიორს, გიორგი კაკაურიძეს, საკომუნიკაციო ელ-ფოსტით ჩაბარდა პარტნიორთა მორიგი კრების მოსაწვევი; (**დანართი N2-ში მოცემული ჩაბარების დასტურები**);
- **პარტნიორთა მორიგი კრების დღის წესრიგი მოიცავს შემდეგ საკითხებს:**
 1. შპს თარსისის (ს/ნ: 534892119) პარტნიორების მიერ დამატებით შენატანის განხორციელება.
- **პარტნიორთა კრება დაიწყო 2020 წლის 12 სექტემბრის 12:00 საათზე და დასრულდა 12:07 საათზე.**
- **კრებას ესწრებოდნენ:** - კომპანიის 50% წილის მესაკუთრე - გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 37001008653).
- **კვორუმი:** - გიორგი კაპანაძემ, კრებაზე დამსწრე პირთა შემოწმების შემდეგ განაცხადა, რომ კრებას არ ესწრებიან ხმათა 100% მქონე პარტნიორები, შესაბამისად, კრება არ არის უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგში შეტანილი საკითხები და მოწვეულ უნდა იქნეს მეორე კრება მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9¹(2) მუხლის შესაბამისად.

გადაწყვეტილება: შესაბამისად, გიორგი კაპანაძის გადაწყვეტილებით, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9¹(2) მუხლისა და კომპანიის წესდების შესაბამისად, მოწვეულ იქნება კომპანიის პარტნიორთა კრება 2020 წლის 22 სექტემბერს, 12:00 საათზე. მორიგი კრების დღის წესრიგი დარჩება იმავე, ჩატარების ადგილი, ასევე იმავე.

კომპანიის პარტნიორი - გიორგი კაპანაძე (ხელმოწერილია, დამოწმებულია ნოტარიულად)

ხელმოწერა:



დანართი No. 10 - მოსაწვევი შპს თარსისის პარტნიორთა მეორე კრებაზე

from: **Giorgi Kapanadze** <georgekapanadze@gmail.com>
to: **Giorgi Kakauridze** <georgekakauridze@gmail.com>
date: Sep 12, 2020, 12:09 PM
subject: პარტნიორთა კრება
mailed-by: gmail.com
signed-by: gmail.com
security: Standard encryption (TLS)

მოსაწვევი შპს თარსისის (ს/ნ: 534892119) პარტნიორთა მეორე კრებაზე

მოგესალმებით,

იმის გათვალისწინებით, რომ არ გამოცხადდით პარტნიორთა მორიგ კრებაზე, რომელიც უნდა ჩატარებულიყო 2020 წლის 12 სექტემბერს, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9¹(2) მუხლისა და შპს თარსისის (ს/ნ: 534892119) (შემდგომში „კომპანია“) წესდების 9.1 მუხლის საფუძველზე, კომპანიის პარტნიორი, გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 37001008653), გიწვევთ კომპანიის პარტნიორთა მეორე კრებაზე.

გთხოვთ იხილეთ ქვემოთ ინფორმაცია პარტნიორთა მორიგი კრების ჩატარების შესახებ და მისი დღის წესრიგი:

- პარტნიორთა მორიგი კრების ჩატარების ადგილი: ქ. თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა N1.
- პარტნიორთა მორიგი კრების ჩატარების დრო: 2020 წლის 22 სექტემბრის 12:00 საათი.
- პარტნიორთა მორიგი კრების დღის წესრიგი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. შპს თარსისის (ს/ნ: 534892119) პარტნიორობის მიერ დამატებით შენატანის განხორციელება

კომპანიის პარტნიორი- გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 37001008653) (ხელმოწერილია)

ხელმოწერა:



თარიღი: 12/09/2020 წ.

დანართი No. 11 - შპს თარსისის პარტნიორთა მეორე კრების ოქმი

თარიღი: 22/სექტემბერი/2020

ადგილი: ქ. თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა N1

იმის გათვალისწინებით, რომ:

- 2020 წლის 1 სექტემბერს, შპს თარსისის (ს/ნ: 534892119) პარტნიორის, გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 37001008653) მიერ, 2020 წლის 12 სექტემბრის 12:00 საათისთვის, მოწვეულ იქნა პარტნიორთა მორიგი კრება, რომლის დღის წესრიგსაც წარმოადგენდა შემდეგი: შპს თარსისის (ს/ნ: 534892119) პარტნიორების მიერ დამატებით შენატანის განხორციელება (დანართი N1-ში მოცემული მოსაწვევი).
- 2020 წლის 1 სექტემბერსვე, შპს თარსისის (ს/ნ: 534892119) პარტნიორს, გიორგი კაკაურძემ, საკომუნიკაციო ელ-ფოსტით ჩაბარდა პარტნიორთა მორიგი კრების მოსაწვევი; (დანართი N2-ში მოცემული ჩაბარების დასტურები);
- 2020 წლის 12 სექტემბერს, პარტნიორთა მორიგი კრებაზე არ გამოცხადდა გიორგი კაკაურძე, რის შემდეგაც, მას იმავე დღესვე გაეგზავნა პარტნიორთა მეორე კრებაზე მოსაწვევი, რაც მას იგივე დღესვე ჩაბარდა (დანართი N3-ში ელ-ფოსტაზე მიმოწერა და მისი დანართები);
- კრება დაიწყო 2020 წლის 22 სექტემბერს 12:00 საათზე და დასრულდა 12:15 საათზე.
- კრებას ესწრებოდნენ: - კომპანიის 50% წილის მესაკუთრე, გიორგი კაპანაძე
- კვორუმი: - გიორგი კაპანაძემ, განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, რომ პარტნიორთა კრებას არ ესწრებიან ხმათა 100% მქონე პარტნიორები, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-9¹(2) მუხლის შესაბამისად, მოცემული კრება წარმოადგენს „მეორე კრებას“, და მეორე კრება გადაწყვეტილებაუნარიანია მაშინაც კი, თუ მასზე არ გამოცხადდება (გამოცხადდებიან) ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორი (პარტნიორები).
- პარტნიორთა მორიგი კრების დღის წესრიგი მოიცავს შემდეგ საკითხებს:

1. შპს თარსისის (ს/ნ: 534892119) პარტნიორების მიერ დამატებით შენატანის განხორციელება

- გადაწყვეტილება: პარტნიორთა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხზე, კრებამ მიიღო გადაწყვეტილება დაკმაყოფილდეს გიორგი კაპანაძის შუამდგომლობა, და კომპანიის თითოეულმა პარტნიორმა, წინამდებარე კრების ოქმის მიღებიდან 10 კალენდარულ დღეში განახორციელოს კომპანიის კაპიტალში 150,000 (ას ორმოცდაათი ათასი) ლარის შეტანა, კომპანიის საბანკო ანგარიშზე გადარიცხვის სახით.

კომპანიის პარტნიორი- გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 37001008653) (ხელმოწერილია, დამოწმებულია ნოტარიულად)

ხელმოწერა:



თარიღი: 22/09/2020 წ

დანართი No. 12 - გიორგი კაკაურიძეს მოთხოვნა გასვლის შესახებ

from: **Giorgi Kakauridze** <georgekakauridze@gmail.com>
to: **Giorgi Kapanadze** <georgekapanadze@gmail.com>
Cc: **Daxox LLC** <Daxox@gmail.com>
Tharsis LLC <Info@tharsis.ge >
date: Sep 28, 2020, 15:35 PM
subject: კომპანიიდან გასვლა
mailed-by: gmail.com
signed-by: gmail.com
security: Standard encryption (TLS)

გიორგი, სალამი,

გამომდინარე იქედან, რომ ჩემი მრავალი მცდელობის მიუხედავად ვერ დავამყარე შენთან კომუნიკაცია და ვერ ხდება ჩვენს შორის თანამშრომლობა კომპანიის მიზნებიდან გამომდინარე, ვიყენებ ჩვენ შორის დადებული პარტნიორთა შეთანხმების მე-7 მუხლით გათვალისწინებულ კომპანიიდან გასვლის უფლებას.

შესაბამისად, ამავე წერილითვე, ვთხოვთ შპს „დაქსოსი“-ს, სათანადო ვადებში მოამზადოს საექსპერტო დასკვნა ჩემთვის გადასახდელი კომპენსაციის თაობაზე.

ვიმედოვნებ, ითანამშრომლებთ ექსპერტთან და დროულად მიაწვდით მას სათანადო ინფორმაციასა და დოკუმენტაციას, როგორც ეს ჩვენი შეთანხმებით არის გათვალისწინებული.

გიორგი კაკაურიძე

დანართი No. 13 - ექსპერტის წერილი კომპანიასა და გიორგი კაპანაძეს

from: **Daxox LLC** <Daxox@gmail.com>
to: **Giorgi Kakauridze** <georgekakauridze@gmail.com>
Cc: **Giorgi Kapanadze** <georgekapanadze@gmail.com >
Tharsis LLC <Info@tharsis.ge>
date: Sep 29, 2020, 10:30 AM
subject: კომპანიიდან გასვლა
Attachment: დასკვნა
mailed-by: gmail.com
signed-by: gmail.com
security: Standard encryption (TLS)

მოგესალმებით,

როგორც ბატონმა გიორგი კაკაურიძემ აღნიშნა, იმედი გვაქვს, რომ ითანამშრომლებთ ჩვენთან.

გთხოვთ, იხილოთ იმ პირველადი ინფორმაციის/დოკუმენტების სია/ჩამონათვალი, რომელთა მოწოდებაც ამ დროისათვის გვესაჭიროება.

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ კვლევის ეტაპზე, შეიძლება დაგვჭირდეს დამატებითი ინფორმაციის /დოკუმენტების მოწოდება, რის შესახებაც დამატებით შეგატყობინებთ.

მადლობა წინასწარ,

პატივისცემით,

შპს დაქსოსის დირექტორი,

ედუარდ ელრიკიშვილი

**დანართი No. 14 - ექსპერტის შეხსენება ინფორმაციის დამატებით
მოთხოვნის თაობაზე**

from: **Daxox LLC** <Daxox@gmail.com>
to: **Giorgi Kakauridze** <georgekakauridze@gmail.com>
Cc: **Giorgi Kapanadze** georgekapanadze@gmail.com
Tharsis LLC <Info@tharsis.ge>
date: Oct 9, 2020, 13:00 PM
subject: კომპანიიდან გასვლა
Attachment: დასკვნა
mailed-by: gmail.com
signed-by: gmail.com
security: Standard encryption (TLS)

მოგესალმებით,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, დღემდე არ გადმოგვცემია მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტები.

გთხოვთ, დროულად მოგვაწოდოთ მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტები, რათა შევძლოთ საექსპერტო დასკვნის შეთანხმებულ ვადაში მომზადება.

პატივისცემით,

შპს დაქსოსის დირექტორი,

ედუარდ ელრიკიშვილი

დანართი No. 15 - გიორგი კაპანაძის პასუხი ექსპერტის წერილზე

from: **Giorgi Kapanadze** <georgekapanadze@gmail.com>
to: **Daxox LLC** <Daxox@gmail.com>
Giorgi Kakauridze <georgekakauridze@gmail.com>
Cc: **Giorgi Tharsis LLC** <Info@tharsis.ge>
date: Oct 9, 2020, 17:53 PM
subject: კომპანიიდან გასვლა
Attachment: დასკვნა
mailed-by: gmail.com
signed-by: gmail.com
security: Standard encryption (TLS)

ედუარდ, მოგესალმებით,

გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ მხარეთა შორის არსებული შეთანხმების მე-7 მუხლის მიხედვით, არ არის დაცული ის წინაპირობები, რომელიც წინ უნდა უძღოდეს თქვენ მიერ დასკვნის მომზადებას.

შესაბამისად, მოკლებული ვართ შესაძლებლობას, მოგაწოდოთ მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

ბოლოს, ნებისმიერ შემთხვევაში, გიორგი კაკაურიძეს ისედაც შეუძლია საჯარო წყაროებიდან მოიპოვოს მოთხოვნილი ინფორმაცია (მაგ.: კორპორაციული დოკუმენტები, ბუღალტრული დოკუმენტები ან/და ჩვენი ფინანსური მდგომარეობის ამსახველი დოკუმენტაცია ა.შ).

პატივისცემით,

გიორგი კაპანაძე

დანართი No. 16 - ექსპერტის წერილი დასკვნის მოუმზადებლობის თაობაზე

from: **Daxox LLC** <Daxox@gmail.com>
to: **Giorgi Kakauridze** <georgekakauridze@gmail.com>
Cc: **Giorgi Kapanadze** georgekapanadze@gmail.com
Tharsis LLC <Info@tharsis.ge>
date: Oct 30, 2020, 18:00 PM
subject: კომპანიიდან გასვლა
mailed-by: gmail.com
signed-by: gmail.com
security: Standard encryption (TLS)

მოგესალმებით,

როგორც თქვენთვის ცნობილია, ჩვენი მოთხოვნის მიუხედავად, ჩვენ არ გადმოგვცემია მოთხოვნილი ინფორმაცია/დოკუმენტები.

ასევე, აღსანიშნავია, რომ ჩვენი დავალების (ბატონ გიორგი კაკაურიძეს კომპენსაციის ღირებულების გამოთვლა) შესასრულებლად, ზემოაღნიშნული ინფორმაციის/დოკუმენტების მიწოდება, კრიტიკულად მნიშვნელოვანი იყო.

შესაბამისად, სამწუხაროდ, მოკლებული ვართ შესაძლებლობას მოგაწოდოთ საექსპერტო დასკვნა.

პატივისცემით,

შპს დაქსოსის დირექტორი,

ედუარდ ელრიკიშვილი

დანართი No. 17 - გიორგი კაკაურიძის რწმუნებულება

ადგილი: ქ. თბილისი
თარიღი: 10/11/2020

გიორგი კაკაურიძე (პ/ნ: 01001053299), (მისამართი: ქ. თბილისი, ფატმანის ქუჩა N15), (შემდგომში „მარწმუნებელი“)

შემდეგ პირს: - **კაილო ჰანსოლავა** (პ/ნ: 91034004694) (შემდგომში „რწმუნებული“)

ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას, რათა, რწმუნებულმა, დამოუკიდებლად, განახორციელოს შემდეგი უფლებამოსილებები, კერძოდ:

- მარწმუნებელი წარმოადგინოს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, საარბიტრაჟო განხილვაში, შესაბამისი სამოქალაქო, სისხლის და/ან ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოებისას, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში, სანოტარო ბიუროებში, არბიტრაჟში, სახელმწიფო ბაჟის გადახდისა და დაბრუნების უფლებით ყველა კომპეტენტურ ორგანოში;
- შეიტანოს ნებისმიერი სარჩელი, განცხადება, კერძო საჩივარი, შუამდგომლობა, შესაგებელი, საჩივარი ან/და ნებისმიერი სხვა დოკუმენტ(ებ)ი ყველა ინსტანციის სასამართლოში, არბიტრაჟში და ყველა კომპეტენტურ დაწესებულებაში, გადაიხადოს/დაიბრუნოს სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერი ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხრის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე, შეცვალოს სარჩელის საგანი და საფუძველი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, დაამთავროს საქმე მორიგებით, გამოიხმოს სარჩელი, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, წარადგინოს სარჩელი, განცხადება, სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, კერძო საჩივარი, შესაგებელი, ისარგებლოს მხარისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლით დადგენილი ყველა უფლებამოსილებით, წარადგინოს აღსასრულებლად სააღსრულებო ფურცელი და მიიღოს მონაწილეობა სააღსრულებო მოქმედებებში; მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება.
- არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილი არის შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.
- რწმუნებულება გაცემულია 3 წლის ვადით.

გიორგი კაკაურიძე (ხელმოწერილია, დამოწმებულია ნოტარიულად)

გიორგი კაკაურიძე

გიორგი კაპანაძის პასუხი საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ შეტყობინებაზე

22, ნოემბერი 2020 წ.

საარბიტრაჟო მოსარჩელე:

გიორგი კაკაურიძე (პ/ნ: 01001053299)
მისამართი: ქ. თბილისი, ფატმანის ქუჩა N15
ტელეფონის ნომერი: 577-00-00-01
ელექტრონული ფოსტის მისამართი: georgekakauridze@gmail.com

სამართლებრივი წარმომადგენელი:

კაილო ჰანსოლავა (პ/ნ: 91034004694)
მისამართი: ქ. თბილისი, სნოუკის ქუჩა N66
ტელეფონის ნომერი: 577-00-00-03
ელექტრონული ფოსტის მისამართი: Kylo@gmail.com

საარბიტრაჟო მოპასუხეები:

გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 01001060287)
მისამართი: ქ. თბილისი, ასმათის ქუჩა N2
ტელეფონის ნომერი: 599-00-00-02
ელექტრონული ფოსტის მისამართი: georgekapanadze@gmail.com

წარმომადგენელი:

პადმე ამიდალაშვილი (პ/ნ: 97059004391)
მის: ქ. თბილისი, მეუნარგიას ქუჩა N3
ტელეფონის ნომერი: 590-09-33-22
ელექტრონული ფოსტის მისამართი: padme@amidalashvililaw.ge

შპს თარსისი (ს/ნ 534892119)

მისამართი: ქ. თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა N1;
ტელეფონის ნომერი: 577-00-00-05
ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@tharsis.ge

I. საარბიტრაჟო მოპასუხის შედავება არბიტრაჟის კომპეტენციაზე

1. 2020 წლის 11 ნოემბერს გიორგი კაპანაძემ (შემდგომში ასევე „საარბიტრაჟო მოპასუხე“) მიიღო გიორგი კაკაურიძის (შემდგომში ასევე „საარბიტრაჟო მოსარჩელე“) შეტყობინება საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ (შემდგომში „შეტყობინება“), რომლის მიხედვითაც გიორგი კაპანაძე დასახელებულია ერთ-ერთ საარბიტრაჟო მოპასუხედ.

2. საარბიტრაჟო მოპასუხე არ ეთანხმება არბიტრაჟის კომპეტენციას შემდეგი გარემოებების გამო:

i. დავა არ არის არბიტრაჟუნარიანი.

3. არბიტრაჟის შესახებ საქართველოს კანონის 1(2) „ა“ პუნქტის შესაბამისად, *არბიტრაჟი უფლებამოსილია განიხილოს პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის.*

4. აღნიშნულ შემთხვევაში, მხარეთა შორის მიმდინარეობს საკორპორაციო-სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე საარბიტრაჟო დავა, რომელიც არ წარმოადგენს კერძო ხასიათის ქონებრივ დავას და იგი არ შეიძლება განხილული იქნას არბიტრაჟის მიერ.

5. კანონის შესაბამისად, აუცილებელია, რომ სახეზე იყოს ისეთი დავა, რომლის მოწესრიგებაც მხარეებს შეუძლიათ ერთმანეთს შორის. მხარეებს არ შეუძლიათ არბიტრაჟს დაუქვემდებარონ დავა, რომელიც მესამე, საარბიტრაჟო შეთანხმებაზე არა ხელმომწერ პირებისადმი წარმოშობს ვალდებულებებს ან ზეგავლენას იქონიებს მათ ინტერესებზე. მოცემულ საქმეში, ამკარაა, რომ იკვეთება მესამე პირების ინტერესები, რომლებიც არ წარმოადგენენ საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეს, მაგალითად შპს თარსისი, და კომპანიის კრედიტორები. შესაბამისად, აღნიშნული დავა არ შეიძლება იყოს განხილული არბიტრაჟის მიერ.

ii. **დავა სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს. პარტნიორთა შეთანხმება არ ითვალისწინებს საარბიტრაჟო დათქმას, ხოლო წესდება არ არეგულირებს პარტნიორის გასვლის უფლებას, შესაბამისად, დავა არ არის მოცული წესდებაში გათვალისწინებული საარბიტრაჟო დათქმით.**

6. წინამდებარე დავა გამომდინარეობს 2017 წლის 02 მაისის პარტნიორთა შეთანხმებიდან, რომელიც არეგულირებს პარტნიორის გასვლის საკითხს, რომელშიც არ არის მოცემული საარბიტრაჟო დათქმა.

7. საარბიტრაჟო დათქმა მხოლოდ შპს თარსისის წესდებაშია, რომელიც არ არეგულირებს პარტნიორთა გასვლის საკითხს.

8. შესაბამისად, წესდებაში არსებული საარბიტრაჟო დათქმა ვერ და არ გავრცელდება პარტნიორთა შეთანხმებაზე და მხოლოდ იმ უფლებებით არის შემოფარგლული, რომელიც წესებიდან გამომდინარეობს. გამომდინარე აქედან, აღნიშნული დავა სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს.

iii. **მხარეებს არ აქვთ შეთანხმებული საარბიტრაჟო შეთანხმების არსებითი პირობა: ვერ დგინდება, კონკრეტულად რომელი არბიტრაჟი განიხილავს დავას;**

9. საარბიტრაჟო შეთანხმებაში მხარეებს არ აქვთ განსაზღვრული კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულება, რომელმაც უნდა განიხილოს საარბიტრაჟო დავა. საქართველოს უზენაესის სასამართლოს პრაქტიკიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ „შეთანხმებაში პირდაპირ იყოს მითითებული კონკრეტული არბიტრაჟი, რომელიც უფლებამოსილი იქნება განიხილოს და გადაწყვიტოს დავა. ბათილია საარბიტრაჟო შეთანხმება, თუ მასში მითითებული არბიტრაჟი არც ერთმნიშვნელოვნად არის განსაზღვრული და არც იმგვარად არის ჩამოყალიბებული, რომ მისი შინაარსის მიხედვით შესაძლებელი იყოს განსაზღვრა, თუ რომელ კონკრეტულ არბიტრაჟს გულისხმობდნენ მხარეები“.¹ მხარეთა შეთანხმება არბიტრაჟზე უნდა იყოს ცალსახა, უალტერნატივო და სავალდებულო. მხარეთა შეთანხმებიდან არაორაზროვნად უნდა გამომდინარეობდეს რომელ კონკრეტულ არბიტრაჟს უქვემდებარებენ ისინი დავას. შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნულ საარბიტრაჟო დათქმაში არ არის მითითებული კონკრეტული საარბიტრაჟო დაწესებულება, იგი ბათილია.

iv. საარბიტრაჟო ტრიბუნალს არ აქვს უფლება განიხილოს აღნიშნული დავა, რადგან დავის ნაწილი წარმოადგენს საქართველოს სასამართლოების განსაკუთრებულ განსჯადობას მიკუთვნებულ საკითხს.

10. შეტყობინებით მოთხოვნილია პარტნიორთა გადაწყვეტილების ოქმის ბათილობა, რაც საქართველოს საერთაშორისო კერძო სამართლის შესახებ საქართველოს კანონის 10.8 მუხლის შესაბამისად წარმოადგენს საქართველოს სასამართლოს განსაკუთრებულ განსჯადობას მიკუთვნებულ საკითხს და არბიტრაჟს არ აქვს უფლება იმსჯელოს აღნიშნულ მოთხოვნაზე.

11. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საარბიტრაჟო მოპასუხის მოთხოვნაა, რომ არბიტრაჟმა არ დაიდგინოს კომპეტენცია.

II. არბიტრის კანდიდატურა

12. საარბიტრაჟო მოპასუხე უარს აცხადებს არბიტრის დანიშვნაზე და მიიჩნევს, რომ აღნიშნულ დავაში საარბიტრაჟო ტრიბუნალის სამივე წევრი უნდა დაინიშნოს საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მიერ.

III. საარბიტრაჟო მოპასუხის პოზიცია დავის არსებით ნაწილზე

13. საარბიტრაჟო მოპასუხე ხაზს უსვამს, რომ წინამდებარე პასუხის წარმოდგენა არ შეიძლება ჩაითვალოს მისი მხრიდან საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენციაზე დათანხმებად ან/და კომპეტენციის გასაჩივრების რაიმე უფლებაზე უარის თქმად.

14. ზემოაღნიშნულის მიუხედავად, წარმოგიდგენთ საარბიტრაჟო მოპასუხის პოზიციას შეტყობინებაზე.

15. საარბიტრაჟო მოპასუხე ეთანხმება შეტყობინების 2-8 პუნქტებში მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს.

¹ სუსგ № ას-416-389-2010, 28.06.2010 წ.; სუსგ №ას-176-503-09, 30.06.2009.

16. ამასთან, მიუთითებს, რომ მომწოდებლების ცვლილება გამოწვეული იყო არსებული მომწოდებლების მიერ ხარისხის გაუარესებით, რაც აისახა ასევე პროდუქციაზე და შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა მომწოდებლების ჩანაცვლების საკითხი.

17. მოძიებული იქნა საქართველოს ბაზარზე არსებული ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი კომპანია შპს თორი, რომელიც თითქმის ყველა დიდ საწარმოს ამარაგებდა ტექსტილითა თუ სხვა სახის პროდუქციით.

18. საარბიტრაჟო მოპასუხე არ ეთანხმება საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ შეტყობინების 9-22 პუნქტებში მოცემულ ფაქტობრივ გარემოებებს.

19. რაც შეეხება პარტნიორთა კრების მოწვევას და დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხს, საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ არაერთხელ იქნა აღნიშნული და მითითებული, რომ პანდემიისა და ეროვნული ვალუტის გაუფასურების ფონზე, აშკარად იკვეთებოდა კაპიტალის გაზრდის აუცილებლობა, ვინაიდან კომპანიის ბრუნვა მნიშვნელოვნად იქნა შემცირებული და ამასთანავე, ლარის გაუფასურებამ გამოიწვია საოპერაციო ხარჯების მნიშვნელოვნად გაზრდა, რის შესახებაც მუდმივად ხდებოდა საარბიტრაჟო მოსარჩელის ინფორმირება.

20. სწორედ იმიტომ, რომ კომპანიის ფუნქციონირება შეუფერხებლად გაგრძელებულიყო, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება კრების მოწვევის შესახებ. მოწვევა შესაბამისი წესით გაეგზავნა საარბიტრაჟო მოსარჩელეს, თუმცა იგი არ გამოცხადდა პარტნიორთა კრებაზე, რის შემდეგაც შესაბამისი წესით მოწვეულ იქნა მეორე კრება, რომელიც ჩატარდა 2020 წლის 22 სექტემბერს.

21. საარბიტრაჟო მოსარჩელე მეორე კრებაზეც არ გამოცხადდა. მეორე კრება, მიუხედავად საარბიტრაჟო მოსარჩელის გამოუცხადებლობისა, გადაწყვეტუნარიანი იყო მეწარმეთა შესახებ საქართველოს მე-9¹(1) შესაბამისად. არსებული ფინანსური პრობლემებიდან და დამდგარი აუცილებლობიდან გამომდინარე, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პარტნიორთა შენატანის გზით კაპიტალის გაზრდის შესახებ. ამასთან, განისაზღვრა, რომ შენატანის განხორციელება უნდა მომხდარიყო 10 (ათი) დღის ვადაში, თუმცა საარბიტრაჟო მოსარჩელის მხრიდან არ მომხდარა აღნიშნული ვალდებულების შესრულება.

22. ამასთან, საარბიტრაჟო მოპასუხისათვის ცნობილი გახდა, რომ ამავე პერიოდში საარბიტრაჟო მოსარჩელემ დააფუძნა კომპანია შპს ჯორჯიან გუდზ (დანართი 1), რომლის საქმიანობის სფეროსაც წარმოადგენდა წყავის, ნაჭრის და სხვა პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია (დანართი 2). უფრო, მეტიც, კომპანიის ერთ-ერთმა მომწოდებელმა გადმომიგზავნა წერილი, რომლითაც ირკვევა, რომ გიორგი კაკაურიძე, უკავშირდება კომპანიის არსებულ მომწოდებლებს და ცდილობს მათ გადაბირებას (დანართი 3). აქედან გამომდინარე, ცხადი გახდა, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელის ინტერესი აღარ წარმოადგენდა შპს თარსისი და მის განვითარებაზე ზრუნვა და ამავე მიზეზით იგი არ გამოცხადდა არც პირველ და არც მეორე კრებაზე. შესაბამისად, მიმდინარე დავის საფუძველი არის არა ის ვითომდა უთანხმოება, რაზედაც უთითებს მოსარჩელე, არამედ საარბიტრაჟო მოსარჩელის პირადი ინტერესი, წამოიწყოს საკუთარი ბიზნესი, რისთვისაც მას სჭირდება თანხები, რომლის მიღების იმედი აქვს ახლა ჩვენი ერთობლივი კომპანიიდან.

23. ცხადია, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელე მიზანმიმართულად და ხელოვნურად ცდილობდა ჩიხური მდგომარეობის შექმნას, რათა მას წარმოშობოდა კომპანიიდან გასვლის უფლება, იმისთვის,

რომ მოეზიდა კაპიტალი მის მიერ დაფუნდებულ ახალ კომპანიაში. თუმცა, მას გასვლის არც კანონისმიერი და არც სახელშეკრულებო უფლება აქვს.

24. შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ გიორგი კაკაურიძემ არ შეასრულა 2020 წლის 22 სექტემბრის პარტნიორთა კრების ოქმით დადგენილი შენატანის განხორციელება კაპიტალში, დააფუნდა კომპანია, და დამატებით ცდილობს, რომ არამართლზომიერად მიიღოს კომპენსაცია 500,000 აშშ დოლარის ოდენობით, საარბიტრაჟო მოპასუხე ამზადებს სარჩელს გიორგი კაკაურიძის წინააღმდეგ, რათა მოთხოვნილი იქნას მისი, როგორც პარტნიორის გარიცხვა შპს თარსისიდან.

25. დამატებით, საარბიტრაჟო მოსარჩელემ არ დაიცვა პარტნიორთა შეთანხმების 7(2) მუხლით განსაზღვრული მოლაპარაკების 30 დღიანი ვადა და ისე მიმართა ექსპერტს დასკვნის მომზადების მიზნით, რისი უფლებაც მას არ ჰქონდა აღნიშნული ვადის ამოწურვამდე. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ საექსპერტო დასკვნა არ მომზადდა პარტნიორთა შეთანხმებით განსაზღვრულ ვადაში, ვინაიდან ექსპერტთან მიმართვის წინაპირობა საარბიტრაჟო მოსარჩელის მხრიდან არ იქნა შესრულებული და მას არ წარმოშობია მიმართვის უფლება.

26. ამასთანავე, საარბიტრაჟო მოპასუხე განმარტავს, რომ საარბიტრაჟო მოსარჩელეს ისედაც ჰქონდა ექსპერტის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია და მას შეეძლო, თავად მიეწოდებინა ის ექსპერტისათვის, რაც არ გაუკეთებია.

IV. საარბიტრაჟო მოპასუხის პოზიცია შეტყობინებაში მითითებულ საარბიტრაჟო მოსარჩელის მოთხოვნებთან დაკავშირებით

i. საარბიტრაჟო ტრიბუნალის კომპეტენცია;

27. საარბიტრაჟო მოპასუხე მიიჩნევს, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალს არ აქვს აღნიშნული დავის განხილვის კომპეტენცია, პასუხის 3-11 პუნქტების გათვალისწინებით.

ii. პარტნიორთა კრების 2020 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილობა;

28. მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს. რადგან გადაწყვეტილება მიღებულ იქნა წესდებისა და მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების სრული დაცვით. კერძოდ, საქართველოს მეწარმეთა შესახებ კანონის მე-9¹ მუხლის შესაბამისად, მეორე კრება გადაწყვეტუნარიანია მაშინაც კი, თუ მასზე არ გამოცხადდება ხმების უმრავლესობის მქონე პარტნიორები. ამ შემთხვევაში, მეორე კრება, რომელიც პროცედურის სრული დაცვით იქნა მოწვეული გადაწყვეტუნარიანი იყო, მიუხედავად იმისა, რომ გიორგი კაკაურიძე არ გამოცხადდა. პარტნიორთა მიერ არ იქნა გამორიცხული აღნიშნული შესაძლებლობა წესდებით, შესაბამისად, მათ განზრახვას აღნიშნული შესაძლებლობის არსებობა წარმოადგენდა. გამომდინარე აქედან, იმისდამიუხედავად, რომ მეორე კრებას ესწრებოდა მხოლოდ ერთი პარტნიორი, იგი უფლებამოსილი იყო მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება და მისი ბათილობის არანაირი კანონისმიერი თუ სხვა საფუძველი არ არსებობს.

iii. აღიარებულ იქნეს გიორგი კაკაურიძე გასულ პარტნიორად და დაეკისროს შპს თარსის-ს და გიორგი კაკაურიძეს სოლიდარულად, 500,000 აშშ დოლარის გადახდა საარბიტრაჟო მოსარჩელის სასარგებლოდ;

ალტერნატიულად:

ადიარებულ იქნეს გიორგი კაკაურიძე გასულ პარტნიორად და დაეკისროს შპს თარსისის წილის საბაზრო ღირებულების, 300,000.00 (სამასი ათასი) აშშ დოლარის სახით კომპენსაციის გადახდა.

29. მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს. მხარეებმა პარტნიორთა შეთანხმებაში პირდაპირ დაადგინეს გასვლის უფლების მოთხოვნის წინაპირობა, რაც იყო 30-დღიანი მოლაპარაკების ვადის უშედეგოდ გასვლა, რომელიც არ იქნა შესრულებული საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ. აღნიშნული პირობის დაუცველობა კი საარბიტრაჟო მოსარჩელეს საერთოდ ართმევს გასვლის უფლების მოთხოვნის საფუძველს, მითუმეტეს იმ პირობებში, როდესაც გიორგი კაკაურიძეს არ ჰქონია გასვლის რაიმე საპატიო მიზეზი და საერთოდ არ უცდია მოლაპარაკება მეორე პარტნიორთან;

30. ამასთან, პარტნიორთა შეთანხმება ითვალისწინებდა ექსპერტთან მიმართვის სპეციალურ წესს. ხოლო აღნიშნული წესის ჯეროვნად დაცვით მიმართვის შემთხვევაში, ექსპერტს ჰქონდა 30 დღიანი ვადა რათა მოემზადებინა დასკვნა. ამ ვადის ათვლაც უნდა დაიწყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაცულია მიმართვის წინაპირობა, კერძოდ, გასულია მოლაპარაკებისათვის განსაზღვრული ვადა.

31. აღნიშნულ შემთხვევაში, საარბიტრაჟო მოსარჩელემ არ დაიცვა პარტნიორთა შეთანხმებით განსაზღვრული წესი და ისე მიმართა ექსპერტს. შესაბამისად, ცალსახაა, რომ პარტნიორთა შეთანხმებით განსაზღვრული ვადის დინება საექსპერტო დასკვნის მომზადებისათვის არ უნდა იქნას მიჩნეული დაწყებულად. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ კომპენსაციის მოთხოვნა უსაფუძვლოა და მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ დასაბუთებას.

32. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ცალსახაა, რომ გიორგი კაკაურიძეს არ აქვს გასვლის უფლება, იგი არ შეიძლება იქნას გასულ პარტნიორად ადიარებული და არ არსებობს რაიმე სამართლებრივი საფუძველი იმისა, რომ შპს თარსისსა და გიორგი კაკაურიძეს სოლიდარულად, 500,000 აშშ დოლარის გადახდა დაეკისროთ.

33. რაც შეეხება ალტერნატიულად მოთხოვნილ 300,000.00 აშშ დოლარს, გამომდინარე იქიდან, რომ გიორგი კაკაურიძეს საერთოდ არ აქვს გასვლის უფლება, შესაბამისად არც წილის საბაზრო ღირებულების მოთხოვნის უფლება აქვს კომპენსაციის სახით. შესაბამისად, ალტერნატიული მოთხოვნაც არ უნდა დაკმაყოფილდეს.

iv. პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნა - 2020 წლის 05 ნოემბრიდან ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 500,000 აშშ დოლარის 0.1 %-ის ოდენობით საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულებამდე, არ უნდა დაკმაყოფილდეს.

34. მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს ვინაიდან არ არსებობს ძირითადი თანხის, 500,000 აშშ დოლარის დაკისრების საფუძველი, შესაბამისად, აბსურდულია პირგასამტეხლოს გადახდის მოთხოვნა.

v. 50,000 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრება

35. მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ექსპერტთან მიმართვის უფლება წარმოადგენდა პირობადადებულ გარიგებას, რომლის შესაძლებლობაც წარმოემობოდა საარბიტრაჟო მოსარჩელეს მხოლოდ სპეციალური 30-დღიანი მოლაპარაკების ვადის დაცვის შემთხვევაში, რაც არ იქნა დაცული მის მიერ. შესაბამისად, ექსპერტიც არ მოქმედებდა პარტნიორთა შეთანხმების ფარგლებში და მისი მოთხოვნა დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენაზე არ შეიძლება ჩაითვალოს მართლზომიერად. გამომდინარე აქედან, შპს თარსისისა და გიორგი კაკაურიძეს

არ ჰქონდათ ვალდებულება გადაეცათ ექსპერტისათვის მოთხოვნილი დოკუმენტები. აქედან გამომდინარე, არარსებული ვალდებულების დარღვევისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება ყოველგვარ გონივრულ აზრს არის მოკლებული.

36. **ალტერნატიულად**, იმ შემთხვევაში, თუკი ტრიბუნალი მიიჩნევს, რომ მოსარჩელის მოთხოვნა საფუძვლიანია (რასაც კატეგორიულად არ ვეთანხმებით ზემოთ მითითებული გარემოებების გამო), გამოდის რომ საარბიტრაჟო მოსარჩელე ითხოვს პარტნიორთა შეთანხმებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულებას, კერძოდ 500,000.00 აშშ დოლარის გადახდას კომპენსაციას სახით (რომელი მოთხოვნაც ასევე უსაფუძვლოა და ზევით განვიხილეთ) და პირგასამტეხლოს დაკისრებას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 419.1 მუხლის შესაბამისად კი, დაუშვებელია კრედიტორმა ერთდროულად მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდაც და ვალდებულების შესრულებაც (ამ შემთხვევაში 500,000 აშშ დოლარის გადახდა), როდესაც პირგასამტეხლო არ არის გათვალისწინებული იმ შემთხვევებისათვის, როცა მოვალე თავის ვალდებულებებს არ ასრულებს დადგენილ დროში.

37. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული პირგასამტეხლო ერთჯერადი ხასიათისაა და არ არის მიბმული ვადის გადაცილებას, საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ აღნიშნული პირგასამტეხლოს მოთხოვნა პირდაპირ ეწინააღმდეგება კანონს.

vi. დაეკისროს შპს თარსისის და გიორგი კაპანაძეს საარბიტრაჟო ხარჯების და საარბიტრაჟო მოსარჩელის წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურება.

38. საარბიტრაჟო სარჩელი და მოთხოვნები უსაფუძვლოა და არ არსებობს მათი დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი. შესაბამისად, საარბიტრაჟო ხარჯები და საარბიტრაჟო მოპასუხის წარმომადგენლობითი ხარჯები სრულად უნდა იქნას ანაზღაურებული საარბიტრაჟო მოსარჩელეს მიერ.

V. მოპასუხის შეგებებული მოთხოვნა

39. ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, მოპასუხე აქვე აღნიშნავს და განმარტავს, რომ უახლოეს მომავალში, აპირებს სარჩელი შეიტანოს მოსარჩელის წინააღმდეგ და მოითხოვს: 1) მისი გარიცხვა კომპანიის პარტნიორობიდან, მისი კონკურენტული საწარმოს დაფუძნებისა და კომპანიის საზიანოდ მოქმედების გამო; 2) ზიანის ანაზღაურება; თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხე არ ცნობს არბიტრაჟის კომპეტენციას, ზემოაღნიშნული საფუძვლების გამო, მოპასუხე აპირებს ხსენებული სარჩელი შეიტანოს სასამართლოში.

VI. საარბიტრაჟო მოპასუხის მოთხოვნა:

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მოპასუხე ითხოვს, რომ:

1. ტრიბუნალმა დაადგინოს, რომ მას არ აქვს კომპეტენცია, განიხილოს წინამდებარე დავა და შეწყვიტოს საქმეზე საარბიტრაჟო წარმოება.

ალტერნატიულად, თუკი ტრიბუნალი მიიჩნევს, რომ მას აქვს დავის განხილვის კომპეტენცია, მაშინ, მოპასუხე მოითხოვს, რომ:

1. სრულად ეთქვას მოსარჩელეს უარი სარჩელის დაკმაყოფილებაზე; და
2. დაეკისროს საარბიტრაჟო მოსარჩელეს საარბიტრაჟო ხარჯებისა და საარბიტრაჟო მოპასუხის წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურება სრულად.

დანართები:

1. შპს ჯორჯიან გულზ-ის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
2. ამონარიდი შპს ჯორჯიან გულზ-ის წესდებიდან;
3. მიმოწერა
4. რწმუნებულება

პატივისცემით,

გიორგი კაპანაძის წარმომადგენელი,

პადმე ამიდალაშვილი



დანართი No. 1 - შპს ჯორჯიან გუდზ-ის ამონაწერი რეესტრიდან

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B11141194, 09/11/2020 13:10:23

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება: შპს ჯორჯიან გუდზ
სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი: 934898114
რეგისტრაციის ნომერი, თარიღი: 5/09/2020
მარეგისტრირებელი ორგანო: სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ხატაეთის ქუჩა N2.
დამატებითი ინფორმაცია:
ელ. ფოსტა: Georgiangoods@gmail.com

დამატებითი ინფორმაციის ნამდვილობაზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მომწოდებელი პირი

ინფორმაცია ლიკვიდაციის/ რეორგანიზაციის/ გადახდისუნარიობის პროცესის მიმდინარეობის შესახებ

რეგისტრირებული არ არის

მმართველობის ორგანო

- პარტნიორთა კრება

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა

- დირექტორი - გიორგი კაკაურიძე, 01001060287

პარტნიორები

მესაკუთრე

გიორგი კაკაურიძე, 01001053299

წილი

100%

წილის მმართველი

ვალდებულება

რეგისტრირებული არ არის

ყადალა/აკრძალვა

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მომრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება

რეგისტრირებული არ არის

მოვალეობა რეესტრი

რეგისტრირებული არ არის

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ-გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან; ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ-გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 08 009 009 09
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

<http://public.reestri.gov.ge/>

დანართი No. 2 - ამონარიდი შპს ჯორჯიან გუდზ-ის წესდებიდან

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

- 1.1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „ჯორჯიან გუდზ“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსებულია მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.
- 1.2. კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმაა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება.
- 1.3. კომპანიის საფირმო სახელწოდებაა:
ქართულად: შპს „ჯორჯიან გუდზ“
ინგლისურად: “Georgian Goods” LLC
- 1.4. კომპანიის არსებობის ხანგძლივობა არის უვადო.
- 1.5. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, ხატაეთის ქუჩა N2.
- 1.6. კომპანიის ელექტრონული ფოსტის მისამართია: Info@georgiangoods.ge

მუხლი 2. კომპანიის საქმიანობის საგანი

- 2.1. კომპანიის მიზანია მოგების მიღება.
- 2.2. კომპანიას უფლება აქვს განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი სახის საქმიანობა, მათ შორის, შეუზღუდავად, წყავის, ნაჭრის და სხვა პროდუქტების წარმოება და რეალიზაცია.
- 2.3. საქმიანობას, რომლის განსახორციელებლად საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებს სპეციალურ ნებართვას (ლიცენზირება, სერტიფიცირება), კომპანია ახორციელებს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სათანადო ნებართვის (ლიცენზიის, სერტიფიკატის) მიღების შემდეგ.

[.....]

დანართი No. 3- მიმოწერა

From: **BobaF** <Boba@gmail.com>
To: **Giorgi Kapanadze** <georgekapanadze@gmail.com>

გიორგი, სალამი,

ასეთი წერილი მომივიდა, ხომ მშვიდობაა?????

----- Forwarded message -----

from: **GG** <Georgiangoods@gmail.com >
to: **BobaF** <Boba@gmail.com>

date: Sept 6, 2020, 12:16 PM
subject: მისალმება
mailed-by: gmail.com
signed-by: gmail.com
security: Standard encryption (TLS)

ბატონა ბობა, მოგესალმებით, როგორ ხართ?

მსურს გაცნობოთ, რომ დღეიდან აღარ ვსაქმიანობ შპს თარსისში. თქვენთან ურთიერთობა, ყოველთვის პროდუქტიული და საქმიანი იყო. ამიტომ, ჩემი სურვილია ისევ გავაგრძელო თქვენთან მუშაობა, როგორც შპს ჯორჯიან გუდზ-ის წარმომადგენელმა.

გთხოვთ, მომაწოდოთ თქვენი ფრაის ლისტი. იმედი მაქვს, რომ მალევე შევძლებთ თანამშრომლობის ჩვეულ რეჟიმში გაგრძელებას.

პატივისცემით,

გიორგი კაკაურიძე

დანართი No. 4 - გიორგი კაპანაძის რწმუნებულება

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

ადგილი: ქ. თბილისი

თარიღი: 15/11/2020

გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 01001060287), (მისამართი: ქ. თბილისი, ასმათის ქუჩა N2) (შემდგომში „მარწმუნებელი“)

შემდეგ პირს: - **პადმე ამიდალაშვილი** (პ/ნ: 97059004391) (შემდგომში „რწმუნებული“)

ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას, რათა, რწმუნებულმა, დამოუკიდებლად, განახორციელოს შემდეგი უფლებამოსილებები, კერძოდ:

- მარწმუნებელი წარმოადგინოს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, საარბიტრაჟო განხილვაში, შესაბამისი სამოქალაქო, სისხლის და/ან ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოებისას, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში, სასაქონლო ბიუროებში, არბიტრაჟში, სახელმწიფო ბაჟის გადახდისა და დაბრუნების უფლებით ყველა კომპეტენტურ ორგანოში;
- შეიტანოს ნებისმიერი სარჩელი, განცხადება, კერძო საჩივარი, შუამდგომლობა, შესაგებელი, საჩივარი ან/და ნებისმიერი სხვა დოკუმენტ(ებ)ი ყველა ინსტანციის სასამართლოში, არბიტრაჟში და ყველა კომპეტენტურ დაწესებულებაში, გადაიხადოს/დაიბრუნოს სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერი ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხრის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას სარჩეოზე, შეცვალოს სარჩელის საგანი და საფუძველი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩეო მოთხოვნის მოცულობა, დაამთავროს საქმე მორიგებით, გამოიხმოს სარჩელი, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, წარადგინოს სარჩელი, განცხადება, სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, კერძო საჩივარი, შესაგებელი, ისარგებლოს მხარისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლით დადგენილი ყველა უფლებამოსილებით, წარადგინოს აღსასრულებლად სააღსრულებო ფურცელი და მიიღოს მონაწილეობა სააღსრულებო მოქმედებებში; მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება.
- არავინ არ შეიძლება ექვემდებარებოდეს დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილი არის შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.
- რწმუნებულება გაცემულია 1 წლის ვადით.

გიორგი კაპანაძე -

(ხელმოწერილია, დამოწმებულია ნოტარიულად)

შპს თარსისის განცხადება

23/11/2020 წ.

შპს თარსისი (ს/ნ:534892119)

მისამართი: ქ. თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა N1;
ტელეფონის ნომერი: 577-00-00-05
ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@tharsis.ge

წარმომადგენელი:

ედდარდ სტარკოიშვილი (პ/ნ: 95069000376)
მისამართი: ქ. თბილისი, ზამთრის ქუჩა N6
ტელეფონის ნომერი: 599-00-00-09
ელექტრონული ფოსტის მისამართი: Eddard@lawyer.ge

საარბიტრაჟო მოსარჩელე

გიორგი კაკაურიძე (პ/ნ: 01001053299)
მისამართი: ქ. თბილისი, ფატმანის ქუჩა N15
ტელეფონის ნომერი: 577-00-00-01
ელექტრონული ფოსტის მისამართი: georgekakaauridze@gmail.com

1. 2020 წლის 12 ნოემბერს შპს „თარსისი“-მ მიიღო გიორგი კაკაურიძის შეტყობინება საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ, რომელშიც იგი დასახელებული საარბიტრაჟო მოპასუხედ.
2. საქართველოს არბიტრაჟის შესახებ კანონის შესაბამისად, იმისთვის, რომ არბიტრაჟს გააჩნდეს კომპეტენცია, აუცილებელია მხარეთა შორის არსებობდეს შესაბამისი წესით დადებული საარბიტრაჟო შეთანხმება, რომლის შესაბამისადაც მხარეები თანხმდებიან, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დავა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, შპს თარსისი არ წარმოადგენს იმ საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეს.
3. საარბიტრაჟო შეთანხმება, რომელიც მოცემულია წესდებაში, წარმოადგენს მხოლოდ კომპანიის პარტნიორთა, როგორც ფიზიკური პირების შეთანხმებას. ამ შეთანხმებაზე ხელმოწერისას ისინი მოქმედებდნენ როგორც პარტნიორები.
4. ამასთან, წესდებაზე ხელმოწერის მომენტში, კომპანიის ერთ-ერთი პარტნიორი, რომელიც ამჟამად კომპანიის დირექტორია, გიორგი კაკაურიძე ჯერ წარმოადგენდა კომპანიას. კომპანიის რეგისტრაცია მოხდა უკვე შემდგომ, პარტნიორთა მიერ წესდების ხელმოწერის

მერე, და სწორად კომპანიის რეგისტრაციის შემდეგ წარმოეშვა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება გიორგი კაპანაძეს. შესაბამისად, წესდებაზე ხელმოწერის მომენტში მას ვერ და არ ჰქონდა მინიჭებული წარმომადგენლობითი უფლებამოსილება. დამატებით, წესდებაზე ხელმოწერისას ორივე პარტნიორი მოქმედებდა მხოლოდ იმ შეთანხმების მიზნებისთვის და კომპანიას ნება არ იყო გამოხატული კომპანიის დირექტორის სახით, რაც წარმოადგენს აუცილებლობას იმისა, რომ კომპანია შებოჭილი იყოს საარბიტრაჟო შეთანხმებით.

5. ზემოაღნიშნულად გამომდინარე, ცალსახაა, რომ შპს თარსისი არ წარმოადგენს საარბიტრაჟო შეთანხმების მხარეს და არბიტრაჟს არ აქვს კომპეტენცია მის მიმართ.
6. ამასთან, აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას არ აქვს ვადამოსული დავალიანება ამ ეტაპზე, მას არ აქვს შესაძლებლობა გადაუხადოს გიორგი კაკაურიძეს 500,000 აშშ დოლარი, რადგან მისი ფულადი სახსრები შეზღუდულია 300,000.00 აშშ დოლარით.

დანართი No. 1 - რწმუნებულება

შპს თარსისის წარმომადგენელი,

ედდარდ სტარკოიშვილი (ხელმოწერილია)

დანართი No. 1 - რწმუნებულება

რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

ადგილი: ქ. თბილისი

თარიღი: 17/11/2020

შპს თარსისი (ს/ნ: 534892119), (მისამართი: ქ. თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა N1) (შემდგომში „მარწმუნებელი“)

შემდეგ პირს:

- ედვარდ სტარკოიშვილი (პ/ნ: 95069000376) (შემდგომში „რწმუნებული“)

ანიჭებს შემდეგ უფლებამოსილებას, რათა, რწმუნებულმა, დამოუკიდებლად, განახორციელოს შემდეგი უფლებამოსილებები, კერძოდ:

- მარწმუნებელი წარმოადგინოს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, საარბიტრაჟო განხილვაში, შესაბამისი სამოქალაქო, სისხლის და/ან ადმინისტრაციულ საქმეთა წარმოებისას, ნებისმიერ ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, სახელმწიფო დაწესებულებებთან, ადმინისტრაციულ ორგანოებთან ურთიერთობაში, სანოტარო ბიუროებში, არბიტრაჟში, სახელმწიფო ბაჟის გადახდისა და დაბრუნების უფლებით ყველა კომპეტენტურ ორგანოში;
- შეიტანოს ნებისმიერი სარჩელი, განცხადება, კერძო საჩივარი, შუამდგომლობა, შესაგებელი, საჩივარი ან/და ნებისმიერი სხვა დოკუმენტ(ებ)ი ყველა ინსტანციის სასამართლოში, არბიტრაჟში და ყველა კომპეტენტურ დაწესებულებაში, გადაიხადოს/დაიბრუნოს სახელმწიფო ბაჟი, გაეცნოს საქმის მასალებს, გააკეთოს ამონაწერი ამ მასალებიდან, გადაიღოს ასლები, განაცხადოს აცილება, წარადგინოს მტკიცებულებანი, მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა გამოკვლევაში, შეკითხვები დაუსვას მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებს, განაცხადოს სასამართლოს წინაშე შუამდგომლობები, მისცეს სასამართლოს ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, წარადგინოს თავისი დასკვნები და გამოთქვას მოსაზრებები საქმის განხილვის დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე, უარყოს მეორე მხრის შუამდგომლობები, დასკვნები და მოსაზრებები, ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვას სარჩელზე, შეცვალოს სარჩელის საგანი და საფუძველი, გაადიდოს ან შეამციროს სასარჩელო მოთხოვნის მოცულობა, დაამთავროს საქმე მორიგებით, გამოიხმოს სარჩელი, გაასაჩივროს სასამართლოს ნებისმიერი აქტი, წარადგინოს სარჩელი, განცხადება, სააპელაციო და საკასაციო საჩივარი, კერძო საჩივარი, შესაგებელი, ისარგებლოს მხარისათვის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 98-ე მუხლით დადგენილი ყველა უფლებამოსილებით, წარადგინოს აღსასრულებლად სააღსრულებო ფურცელი და მიიღოს მონაწილეობა სააღსრულებო მოქმედებებში; მოითხოვოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულება, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმება.
- არავინ არ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე რწმუნებულებაში რწმუნებულის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. რწმუნებული უფლებამოსილი არის შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დასაცავად.
- რწმუნებულება გაცემულია 1 წლის ვადით.

შპს თარსისი

(ხელმოწერილია, დამოწმებულია ნოტარიულად)

მიმართვა ა(ა)იპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის“ მმართველ საბჭოს საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირებაზე

03 დეკემბერი, 2020 წ.

მიმღები: ა(ა)იპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაცია“

ასლი: გიორგი კაპანაძეს და შპს „თარსისის“

მოგესალმებით,

გაცნობებთ, რომ მიმდინარეობს საარბიტრაჟო დავა ა(ა)იპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის“ *ad hoc* საარბიტრაჟო წესების (შემდგომში „საარბიტრაჟო წესები“) შესაბამისად, რომელშიც საარბიტრაჟო მოსარჩელეს წარმოადგენს გიორგი კაკაურიძე (პ/ნ: 01001053299), ხოლო საარბიტრაჟო მოპასუხეებს წარმოადგენენ გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 01001060287) და შპს თარსისი (ს/ნ 534892119).

საარბიტრაჟო შეთანხმება მოცემულია შპს თარსისის წესდებაში, შემდეგი ფორმით: *ნებისმიერი დავა, რომელიც გამომდინარეობს პარტნიორთა ნებისმიერი უფლების განხორციელებიდან, უნდა გადაწყდეს არბიტრაჟის გზით, საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანის მიზნით, ააიპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის ad hoc საარბიტრაჟო წესების მიხედვით; დავას გადაწყვეტს ამ წესების შესაბამისად დანიშნული სამი არბიტრი. საარბიტრაჟო განხილვის ადგილად განისაზღვროს ქ. თბილისი, საქართველო; საარბიტრაჟო განხილვა წარიმართოს ქართულ ენაზე.*

საარბიტრაჟო მოსარჩელემ, გიორგი კაკაურიძემ საარბიტრაჟო წესების შესაბამისად, დაიწყო საარბიტრაჟო წარმოება და გაუგზავნა გიორგი კაპანაძესა და შპს თარსისის შეტყობინება საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ 2020 წლის 10 ნოემბერს, რომელიც სრულად აკმაყოფილებდა საარბიტრაჟო წესების მე-9 მუხლით დადგენილ მოთხოვნებს.

ამასთან, გამომდინარე იქიდან, რომ დავა სამ არბიტრიანმა ტრიბუნალმა უნდა გადაწყვიტოს, საარბიტრაჟო მოსარჩელემ თავის შეტყობინებაში დანიშნა არბიტრი - მარიამ ობიაშვილი.

გიორგი კაპანაძეს შეტყობინება საარბიტრაჟო წარმოების დაწყების შესახებ ჩაბარდა 2020 წლის 11 ნოემბერს, ხოლო შპს თარსისის შეტყობინება ჩაბარდა 2020 წლის 12 ნოემბერს.


საარბიტრაჟო წესების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის და მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საარბიტრაჟო მოპასუხეებს ერთობლივად უნდა დაენიშნათ არბიტრი არაუგვიანეს 2020 წლის 27 ნოემბრისა, თუმცა მათ არ დანიშნეს არბიტრი საარბიტრაჟო წესებით დადგენილ ვადაში.

შესაბამისად, გამომდინარე იქიდან, რომ საარბიტრაჟო წესების მე-6 მუხლის მიხედვით დამნიშნავ ორგანოს წარმოადგენს ა(ა)იპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის“ მმართველი საბჭო, მოგმართავთ საარბიტრაჟო ტრიბუნალის შედგენის მოთხოვნით, საარბიტრაჟო წესების მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად.

გთხოვთ, უმოკლეს ვადაში დააკომპლექტოთ ტრიბუნალი რათა დროულად მოხდეს საარბიტრაჟო საქმის განხილვა.

დანართი 1. საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

გიორგი კაკაურიძის სახელით, კაილო ჰანსოლავა



(ხელმოწერილია)

ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მმართველი საბჭოს 2020 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაკომპლექტების შესახებ

ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის *ad hoc* საარბიტრაჟო წესების მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად

საარბიტრაჟო მოსარჩელე:

გიორგი კაკაურიძე (პ/ნ: 01001053299)

საარბიტრაჟო მოპასუხეები:

გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 01001060287) და **შპს თარსისი** (ს/ნ 534892119).

საარბიტრაჟო მოსარჩელემ, გიორგი კაკაურიძემ მიმართა ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მმართველ საბჭოს 2020 წლის 3 დეკემბერს საარბიტრაჟო ტრიბუნალის სამი წევრის დანიშვნის მოთხოვნით. საარბიტრაჟო დავა მიმდინარეობს ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის *ad hoc* საარბიტრაჟო წესების („საარბიტრაჟო წესები“) შესაბამისად.

საარბიტრაჟო მოსარჩელემ მის მიმართვაში მიუთითა, რომ საარბიტრაჟო მოპასუხეებმა საარბიტრაჟო წესებით განსაზღვრულ ვადაში არ დანიშნეს არბიტრი, შესაბამისად საარბიტრაჟო წესების მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალი სრულად უნდა დაკომპლექტდეს ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მმართველი საბჭოს მიერ.

საარბიტრაჟო წესების მე-13 მუხლის შესაბამისად, როდესაც საარბიტრაჟო დავაში მონაწილეობს რამდენიმე საარბიტრაჟო მოპასუხე, მათ ერთობლივად უნდა დანიშნონ არბიტრი, წინააღმდეგ შემთხვევაში, დამნიშნავი ორგანო - (ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მმართველი საბჭო თავად აკომპლექტებს საარბიტრაჟო ტრიბუნალს.

აღნიშნულ შემთხვევაში საარბიტრაჟო მოპასუხეების მხრიდან ერთობლივად არ მომხდარა არბიტრის დანიშვნა საარბიტრაჟო წესებით განსაზღვრულ ვადაში. შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალის სამი წევრის დანიშვნა უნდა მოხდეს დამნიშნავი ორგანოს, ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მმართველი საბჭოს მიერ.

ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მმართველი საბჭომ მხედველობაში მიიღო საარბიტრაჟო დავის არსი, წარმოების ენა და გამოსაყენებელი სამართალი, შერჩეული კანდიდატების მიერ წარმოდგენილი თანხმობა და მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის დადასტურება და საარბიტრაჟო ტრიბუნალი დააკომპლექტა შემდეგი შემადგენლობით:

- **გიორგი იოდაშვილი** (პ/ნ 00100200300) (საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე);
- **პავლე მანდალორიანი** (პ/ნ 0020030200);
- **მარიამ სტარკაია** (პ/ნ 0031231221).

სამივე არბიტრი ა(ა)იპ „საქართველოს არბიტრთა ასოციაციის“ აკრედიტებული წევრია.

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

(ხელმოწერილია)

მმართველი საბჭოს თავჯდომარის ხელმოწერა

არბიტრის თანხმობა და მისი მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის დადასტურება N1

საარბიტრაჟო მოსარჩელე: გიორგი კაკაურიძე (პ/ნ: 01001053299)

საარბიტრაჟო მოპასუხეები: გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 01001060287) და შპს თარსისი (ს/ნ 534892119)

არბიტრის სახელი: გიორგი

არბიტრის გვარი: იოდაშვილი

თანხმობა

თანახმა ვარ, რომ შევასრულო არბიტრის ფუნქცია ამ საქმის განხილვაში, ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის *ad hoc* საარბიტრაჟო წესების („საარბიტრაჟო წესები“) შესაბამისად. ვადასტურებ, რომ გავეცანი „საარბიტრაჟო წესებს“ და თანახმა ვარ, რომ განვიხილო საქმე „საარბიტრაჟო წესებით“ შესაბამისად. ამასთანავე, ვადასტურებ, რომ არბიტრის ფუნქციის შესრულებისას, ჩემს მოვალეობებს შევასრულებ პატიოსნად, სამართლიანად და დროის იმ პერიოდში რაც განსაზღვრულია „საარბიტრაჟო წესებით“.

უარი

უარს ვაცხადებ, რომ შევასრულო არბიტრის ფუნქცია ამ საქმის განხილვაში.

მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის დადასტურება

მე ვარ მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი თითოეული მხარის მიმართ. ჩემი ცოდნით და ღრმა რწმენით, არ არსებობს ფაქტები და/ან გარემოებები, რომლებმაც, მათი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ჩემი მიუკერძოებლობა ან/და დამოუკიდებლობა რომელიმე ან ორივე მხარის თვალში და რომლებიც შეიძლება საჭიროებდნენ გამხელას.

მე ვარ მიუკერძოვებელი და დამოუკიდებელი თითოეული მხარის მიმართ. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, არ არსებობს გარემოება, რომელიც გამოიწვევს ჩემს, როგორც ამ საქმეზე დანიშნული არბიტრის აცილებას. მიუხედავად ამისა, მსურს გავამხილო ფაქტები დანართის სახით რომლებაც მათი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ჩემი მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა რომელიმე ან ორივე მხარეს თვალში.

10 დეკემბერი, თბილისი, საქართველო



ხელმოწერა

არბიტრის თანხმობა და მისი მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის დადასტურება N2

საარბიტრაჟო მოსარჩელე: გიორგი კაკაურიძე (პ/ნ: 01001053299)

საარბიტრაჟო მოპასუხეები: გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 01001060287) და შპს თარსისი (ს/ნ 534892119)

არბიტრის სახელი: პავლე

არბიტრის გვარი: მანდალორიანი

თანხმობა

თანახმა ვარ, რომ შევასრულო არბიტრის ფუნქცია ამ საქმის განხილვაში, ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა *ad hoc* ასოციაციის საარბიტრაჟო წესების („საარბიტრაჟო წესები“) შესაბამისად. ვადასტურებ, რომ გავეცანი „საარბიტრაჟო წესებს“ და თანახმა ვარ, რომ განვიხილო საქმე „საარბიტრაჟო წესებით“ შესაბამისად. ამასთანავე, ვადასტურებ, რომ არბიტრის ფუნქციის შესრულებისას, ჩემს მოვალეობებს შევასრულებ პატიოსნად, სამართლიანად და დროის იმ პერიოდში რაც განსაზღვრულია „საარბიტრაჟო წესებით“.

უარი

უარს ვაცხადებ, რომ შევასრულო არბიტრის ფუნქცია ამ საქმის განხილვაში.

მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის დადასტურება

მე ვარ მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი თითოეული მხარის მიმართ. ჩემი ცოდნით და ღრმა რწმენით, არ არსებობს ფაქტები და/ან გარემოებები, რომლებმაც, მათი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ჩემი მიუკერძოებლობა ან/და დამოუკიდებლობა რომელიმე ან ორივე მხარის თვალში და რომლებიც შეიძლება საჭიროებდნენ გამხელას.

მე ვარ მიუკერძოვებელი და დამოუკიდებელი თითოეული მხარის მიმართ. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, არ არსებობს გარემოება, რომელიც გამოიწვევს ჩემს, როგორც ამ საქმეზე დანიშნული არბიტრის აცილებას. მიუხედავად ამისა, მსურს გავამხილო ფაქტები დანართის სახით რომლებაც მათი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ჩემი მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა რომელიმე ან ორივე მხარეს თვალში.

10 დეკემბერი, თბილისი, საქართველო



ხელმოწერა

არბიტრის თანხმობა და მისი მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის დადასტურება N3

საარბიტრაჟო მოსარჩელე: გიორგი კაკაურძე (პ/ნ: 01001053299)

საარბიტრაჟო მოპასუხეები: გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 01001060287) და შპს თარსისი (ს/ნ 534892119)

არბიტრის სახელი: მარიამ

არბიტრის გვარი: სტარკაია

თანხმობა

თანახმა ვარ, რომ შევასრულო არბიტრის ფუნქცია ამ საქმის განხილვაში, ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის *ad hoc* საარბიტრაჟო წესების („საარბიტრაჟო წესები“) შესაბამისად. ვადასტურებ, რომ გავეცანი „საარბიტრაჟო წესებს“ და თანახმა ვარ, რომ განვიხილო საქმე „საარბიტრაჟო წესებით“ შესაბამისად. ამასთანავე, ვადასტურებ, რომ არბიტრის ფუნქციის შესრულებისას, ჩემს მოვალეობებს შევასრულებ პატიოსნად, სამართლიანად და დროის იმ პერიოდში რაც განსაზღვრულია „საარბიტრაჟო წესებით“.

უარი

უარს ვაცხადებ, რომ შევასრულო არბიტრის ფუნქცია ამ საქმის განხილვაში.

მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის დადასტურება

მე ვარ მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი თითოეული მხარის მიმართ. ჩემი ცოდნით და ღრმა რწმენით, არ არსებობს ფაქტები და/ან გარემოებები, რომლებმაც, მათი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს ჩემი მიუკერძოებლობა ან/და დამოუკიდებლობა რომელიმე ან ორივე მხარის თვალში და რომლებიც შეიძლება საჭიროებდნენ გამხელას.

მე ვარ მიუკერძოვებელი და დამოუკიდებელი თითოეული მხარის მიმართ. როგორც ჩემთვის არის ცნობილი, არ არსებობს გარემოება, რომელიც გამოიწვევს ჩემს, როგორც ამ საქმეზე დანიშნული არბიტრის აცილებას. მიუხედავად ამისა, მსურს გავამხილო ფაქტები დანართის სახით რომლეთაც მათი შინაარსიდან გამომდინარე, შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ჩემი მიუკერძოებლობა და დამოუკიდებლობა რომელიმე ან ორივე მხარეს თვალში.

10 დეკემბერი, თბილისი, საქართველო


ხელმოწერა

შეტყობინება საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაკომპლექტებაზე

ქ. თბილისი

11 დეკემბერი 2020 წ.

N. 11/12/2020-01

გამგზავნი:

ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაცია

მისამართი: ქ. თბილისი, ლეონიძის ქ. №2, ბიზნეს ცენტრი

„ტაბიძე 1“, მე-4 სართული

ტელეფონის ნომერი: 599 33 46 49

ელექტრონული ფოსტის მისამართი: gaa.arbitration@gmail.com

მიმღები:

გიორგი კაკაურიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ფატმანის ქუჩა N15

ტელეფონის ნომერი: 577 00 00 01

ელექტრონული ფოსტის მისამართი: georgekakaauridze@gmail.com

ასლი:

კაილო ჰანსოლავა

მისამართი: ქ. თბილისი, სნოუკის ქუჩა N66

ტელეფონის ნომერი: 577 00 00 03

ელექტრონული ფოსტის მისამართი: Kylo@gmail.com

მიმღები:

გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 01001060287)

მისამართი: ქ. თბილისი, ასმათის ქუჩა N2

ტელეფონის ნომერი: 599-00-00-02

ელექტრონული ფოსტის მისამართი: georgekapanadze@gmail.com

ასლი:

პადმე ამიდალაშვილი

მის: ქ. თბილისი, მეუნარგიას ქუჩა N3

ტელეფონის ნომერი: 590-09-33-22

ელექტრონული ფოსტის მისამართი: padme@amidalashvililaw.ge

მიმღები:

შპს თარსისი (ს/ნ 534892119)

მისამართი: ქ. თბილისი, ვეფხისტყაოსნის ქუჩა N1;

ტელეფონის ნომერი: 577-00-00-05

ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@tharsis.ge

ასლი:

ედდარდ სტარკოიშვილი (პ/ნ: 95069000376)

მისამართი: ქ. თბილისი, ზამთრის ქუჩა N6

ტელეფონის ნომერი: 599-00-00-09

ელექტრონული ფოსტის მისამართი: Eddard@lawyer.ge

საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაკომპლექტება ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის *ad hoc* საარბიტრაჟო წესების (შემდგომში „საარბიტრაჟო წესები“) მე-13 მუხლის მე-3 მუხლის შესაბამისად

მოგახსენებთ, რომ 2020 წლის 3 დეკემბერს გიორგი კაკაურიძემ მომართა ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციას და მოითხოვა საარბიტრაჟო ტრიბუნალის დაკომპლექტება, ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის *ad hoc* საარბიტრაჟო წესების (შემდგომში „საარბიტრაჟო წესები“) მე-13 მუხლის მე-3 მუხლის მიხედვით, საარბიტრაჟო დავაში, რომელიც მიმდინარეობს საარბიტრაჟო წესების შესაბამისად.

ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაცია გაეცნო წარმოდგენილ მომართვასა და თანდართულ დოკუმენტებს. გამომდინარე იქიდან, რომ საარბიტრაჟო მოპასუხეებმა საარბიტრაჟო წესებით დადგენილ ვადაში არ დანიშნეს არბიტრი, საარბიტრაჟო წესების მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საარბიტრაჟო ტრიბუნალი კომპლექტდება დამნიშნავი ორგანოს მიერ, რომელსაც საარბიტრაჟო წესების მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად წარმოადგენს ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მმართველი საბჭო.

2020 წლის 10 დეკემბერს ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით მიმდინარე საარბიტრაჟო საქმეზე საარბიტრაჟო ტრიბუნალი დაკომპლექტდა შემდეგი შემადგენლობით:

- გიორგი იოდაშვილი (პ/ნ 00100200300) (საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე);
- პავლე მანდალორიანი (პ/ნ 0020030200);
- მარიამ სტარკაია (პ/ნ 0031231221).

გადაწყვეტილების მიღებისას, ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მმართველმა საბჭომ მხედველობაში მიიღო დავის არსი, საარბიტრაჟო განხილვის ენა და გამოსაყენებელი სამართალი. ამასთან, დანიშნული არბიტრები არიან ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის აკრედიტირებული წევრები.

სამივე მათგანმა წარმოადგინა თანხმობისა და დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ფორმა, რომელიც თან ერთვის წინამდებარე წერილს.

შესაბამისად, მიმდინარე დავის მიზნებისათვის საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირება მოხდა 2020 წლის 10 დეკემბერს.

დანართი I: ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მმართველი საბჭოს 2020 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილება.

დანართი 2: საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრების თანხმობისა და მიუკერძოებლობის და დამოუკიდებლობის დადასტურების ფორმები.

პატივისცემით, (ხელმოწერილი)

პროცედურული დადგენილება N1

საარბიტრაჟო მოსარჩელე

გიორგი კაკაურიძე (პ/ნ: 01001053299)

vs.

საარბიტრაჟო მოპასუხეები

გიორგი კაპანაძე (პ/ნ: 01001060287)

და

შპს თარსისი (ს/ნ 534892119)

საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრები:

გიორგი იოდაშვილი (საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე)

პავლე მანდალორიანი

მარიამ სტარკაია

საარბიტრაჟო ტრიბუნალის მდივანი:

ბილბო ზაგიაშვილი

თბილისი, 2021

I. შესავალი

პირველი პროცედურული კონფერენცია გაიმართა 2021 წლის 05 იანვარს ვიდეო-კონფერენციის მეშვეობით 15:00 საათზე.

პროცედურულ კონფერენციაში მონაწილეობდნენ:

საარბიტრაჟო ტრიბუნალის წევრები:

გიორგი იოდაშვილი (თავჯდომარე)

პავლე მანდალორიანი

მარიამ სტარკაია

საარბიტრაჟო ტრიბუნალის მდივანი:

ბილბო ბაგიაშვილი (პ/ნ: 87059138472)

საარბიტრაჟო მოსარჩელის, გიორგი კაკაურიძის წარმომადგენელი:

კაილო ჰანსოლავა (პ/ნ: 91034004694)

საარბიტრაჟო მოპასუხის, გიორგი კაპანაძის წარმომადგენელი:

პადმე ამიდალაშვილი (პ/ნ: 97059004391)

საარბიტრაჟო მოპასუხე, შპს თარსისის წარმომადგენელი:

ედდარდ სტარკოიშვილი (პ/ნ: 95069000376)

საარბიტრაჟო ტრიბუნალმა და დამსწრე მხარეებმა პროცედურულ კონფერენციაზე განიხილეს შემდეგი საკითხები:

- პირველი პროცედურული დადგენილების შინაარსი;
- პროცედურული განრიგი.

შესაბამისად, ტრიბუნალი გამოსცემს შემდეგ პროცედურულ დადგენილებას:

II. საარბიტრაჟო ტრიბუნალი

1. საარბიტრაჟო ტრიბუნალი

საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირება მოხდა ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის მმართველი საბჭოს 2020 წლის 10 დეკემბრის გადაწყვეტილებით, შემდეგი შემადგენლობით:

გიორგი იოდაშვილი (საარბიტრაჟო ტრიბუნალის თავმჯდომარე)

მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 124.

ტელ: 500-300-500

ელ. ფოსტა: giorgiiodashvili@arbitration.ge

პავლე მანდალორიანი

მის: ქ. თბილისი, ა. პოლიტკოვსკაიას ქ. 25.

ტელ: 580-111-333

ელ. ფოსტა: p.mandaloiani@pmlegal.ge

მარიამ სტარკაია

მის: ქ. თბილისი, 1 დეკემბრის ქ. 18.

ტელ: 523-321-125

ელ. ფოსტა: mstarkakaia@got.ge

2. საარბიტრაჟო ტრიბუნალის მდივანი

ბილბო ბაგიაშვილი

მის: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქ. 25.

ტელ: 555-002-332

ელ.ფოსტა: bbagiashvili@jrlaw.ge

მხარეები ადასტურებენ, რომ საარბიტრაჟო ტრიბუნალის ფორმირება მოხდა სათანადოდ, მხარეთა შეთანხმების შესაბამისად. მხარეებისთვის არ არის ცნობილი ტრიბუნალის რომელიმე წევრის ან საარბიტრაჟო ტრიბუნალის მდივნის აცილების მოთხოვნის გამომწვევი რაიმე საფუძველი და შესაბამისად, მათ არ აქვთ აცილების მოთხოვნა.

III. გამოსაყენებელი საარბიტრაჟო წესები

საარბიტრაჟო განხილვა წარიმართება ა(ა)იპ საქართველოს არბიტრთა ასოციაციის *ad hoc* საარბიტრაჟო წესების შესაბამისად.

IV. საარბიტრაჟო ხარჯები

1. საარბიტრაჟო ხარჯების, მათ შორის ავანსად გადასახდელი ხარჯების ოდენობა განისაზღვრა საარბიტრაჟო ტრიბუნალის 2020 წლის 15 დეკემბრის გადაწყვეტილებით. ავანსად გადასახდელი ხარჯების ოდენობა სრულად იქნა დაფარული საარბიტრაჟო მოსარჩელის მიერ.

V. არბიტრაჟის ადგილი

საარბიტრაჟო განხილვის ადგილია თბილისი, საქართველო.

VI. საარბიტრაჟო განხილვის ენა

1. საარბიტრაჟო განხილვა წარიმართება ქართულ ენაზე.

2. ნებისმიერი მოწმის წერილობით ჩვენებას ან სხვა დოკუმენტს, რომელიც არ არის ქართულ ენაზე, უნდა ახლდეს ქართული თარგმანი. თარგმანი საკუთარი ხარჯებით უნდა მოამზადოს მხარემ, რომელიც ეყრდნობა ასეთ დოკუმენტს.

3. თითოეული თარგმანი მიიჩნევა სწორად, თუ მხარე არ წამოაყენებს პრეტენზიას მის სისწორესთან დაკავშირებით. ამასთან, ექვის არსებობისას, ტრიბუნალი უფლებამოსილია თავადაც დასვას საკითხი თარგმანის სისწორესთან დაკავშირებით.

VII. გამოსაყენებელი სამართალი

საარბიტრაჟო დავა გადაწყდება საქართველოს მატერიალური კანონმდებლობის შესაბამისად.

VIII. წარმომადგენლობა

1. მხარეებს დანიშნული ჰყავთ წარმომადგენლები, რომლებიც უფლებამოსილნი არიან იმოქმედონ მათი სახელით მიმდინარე საარბიტრაჟო განხილვის ფარგლებში.

2. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე მხარე შეცვლის თავის წარმომადგენელს ან შეიცვლება წარმომადგენლის ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემი, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საარბიტრაჟო ტრიბუნალს და მეორე მხარე(ებ)ს.

IX. შეტყობინება და კომუნიკაცია

1. საარბიტრაჟო პროცესის მიღმა, მხარეები არ განხორციელებენ რაიმე სახის წერილობით ან ზეპირ კომუნიკაციას საარბიტრაჟო ტრიბუნალთან საარბიტრაჟო განხილვის საგანთან დაკავშირებით.

2. საარბიტრაჟო პროცესთან დაკავშირებით ნებისმიერი წერილობითი წარდგინება და წერილობითი დოკუმენტების გაგზავნა უნდა განხორციელდეს იმ ელექტრონული ფოსტის მისამართებზე, რომელიც მითითებულია მოსარჩელის მიერ მის შეტყობინებაში, მოპასუხე I-ის (გიორგი კაპანაძის) მიერ მის პასუხში და მოპასუხე II-ის (შპს თარსისის) მიერ მის განცხადებაში. იმისთვის, რომ შეტყობინება ჩაითვალოს ჯეროვნად განხორციელებულად აუცილებელია, რომ ის გაეგზავნოს ყველა პირს: ყველა მხარეს, საარბიტრაჟო ტრიბუნალის თითოეულ წევრს და საარბიტრაჟო ტრიბუნალის მდივანს.

3. ასეთი შეტყობინება ჩაბარებულად და სათანადოდ განხორციელებულად ჩაითვლება ელ. ფოსტის გაგზავნის დღეს (მიმღების მხრიდან მიღების დადასტურების მიუხედავად).

X. მხარეთა შემდგომი წარდგინებები და ზეპირი განხილვა

1. მხარეთა შეთანხმებით, ზეპირი განხილვა წარმართება ორ ეტაპად:

1.1. პირველი ეტაპი გაიმართება 2021 წლის 9-11 აპრილს, რომლის დროსაც მოხდება **მხოლოდ შემდეგი საკითხების განხილვა:**

- ა) საარბიტრაჟო მოპასუხეების პრეტენზიები არბიტრაჟის კომპეტენციაზე;
- ბ) საარბიტრაჟო მოსარჩელის შემდეგი მოთხოვნები:

- i. მოთხოვნა შპს თარსისის პარტნიორთა კრების 2020 წლის 22 სექტემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობაზე;
- ii. მოთხოვნა გიორგი კაკაურიძის გასულ პარტნიორად აღიარებაზე და შპს თარსისის და გიორგი კაპანაძეს სოლიდარულად 500,000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრებაზე საარბიტრაჟო მოსარჩელის სასარგებლოდ;
- iii. საარბიტრაჟო მოსარჩელის ალტერნატიული მოთხოვნა, მის გასულ პარტნიორად აღიარებაზე და შპს თარსისისათვის წილის საბაზრო ღირებულების, 300,000.00 (სამასი ათასი) აშშ დოლარის სახით კომპენსაციის გადახდის დაკისრებაზე.

სხვა საკითხები ამ სხდომაზე არ განიხილება.

1.2. განხილვის მეორე ეტაპი, სადაც მოხდება მოსარჩელის სხვა მოთხოვნების (კერძოდ პირგასამტეხლოსა და საარბიტრაჟო ხარჯებთან დაკავშირებით) განხილვა მოგვიანებით განისაზღვრება ტრიბუნალის მიერ მხარეებთან დამატებითი კონსულტაციის შემდეგ.

2. საარბიტრაჟო განხილვა წარმართება ფიზიკური დასწრების გზით ან დისტანციურად. განხილვის ფორმას გადაწყვეტს ტრიბუნალი მოგვიანებით, ქვეყანაში არსებული რეგულაციებისა და უსაფრთხოების საჭიროებებიდან გამომდინარე. მხარეები ადასტურებენ, რომ თუ ტრიბუნალი გადაწყვეტს სხდომის დისტანციურ წარმართვას, ყველა მხარეს აქვს საშუალება ჩაერთოს დისტანციური კომუნიკაციის მეშვეობით. ტრიბუნალი სულ მცირე 1 თვით ადრე აცნობებს მხარეებს სხდომის ფორმის და დროის შესახებ დეტალებს, და ასევე ფიზიკური სხდომის შემთხვევაში -

სხდომის გამართვის ზუსტი ადგილის შესახებ, დისტანციური სხდომის შემთხვევაში - გამოსაყენებელი დისტანციური საკომუნიკაციო საშუალების შესახებ.

3. მხარეებმა წერილობითი წარდგინებები (საარბიტრაჟო სარჩელი და საარბიტრაჟო შესაგებელი) უნდა წარმოადგინონ შემდეგ ვადებში:

1.	საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენა, მათ შორის მოსარჩელის პოზიცია საარბიტრაჟო მოპასუხეების არბიტრაჟის კომპეტენციის შესახებ პრეტენზიებზე	2021 წლის 15 თებერვალი
2.	საარბიტრაჟო მოპასუხეების საარბიტრაჟო შესაგებელი	2021 წლის 15 მარტი

4. აღნიშნული წარდგინებები უნდა მოიცავდეს **მხოლოდ** იმ საკითხებს, რაც განსაზღვრულია წინამდებარე დადგენილების X.1.1. პუნქტში. მოსარჩელის სხვა მოთხოვნებზე (მათ შორის პირგასამტეხლოსა და საარბიტრაჟო ხარჯებზე) მხარეთა წარდგინებების ვადას ტრიბუნალი განსაზღვრავს დამატებით.

5. კითხვების არსებობის შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ წარმოადგინონ კითხვები არა უგვიანეს 2021 წლის 20 იანვრისა.

6. ტრიბუნალი უზრუნველყოფს თითოეული მხარისთვის პოზიციების წარმოდგენის თანაბარ შესაძლებლობებს, მათ შორის, მათთვის თანაბარი დროის გამოყოფის გზით.

ადგილი: თბილისი,

გიორგი იოდაშვილი (საარბიტრაჟო
ტრიბუნალის თავმჯდომარე)



პავლე მანდალორიანი, ტრიბუნალის წევრი



მარიამ სტარკაია, ტრიბუნალის წევრი



პროცედურული დადგენილება N2

თარიღი: 21.01.2021

- 1. რა მოლაპარაკებები აწარმოეს მხარეებმა საარბიტრაჟო შეთანხმების შედგენისას?**

შპს თარსისის წესდების მე-19 მუხლი თავდაპირველად, დავის გადაწყვეტის მექანიზმად სასამართლოს ითვალისწინებდა; თუმცა, გიორგი კაკაურიძეს წარმომადგენელმა track change-ით შეიტანა ცვლილება მოცემულ მუხლში, კომენტარით „არბიტრაჟი სჯობს“ და აღნიშნულ ცვლილებას დაეთანხმა გიორგი კაპანაძის წარმომადგენელი, მარწმუნებელთან შეთანხმებით.
- 2. რა დოკუმენტები იქნა მოთხოვნილი შპს დაქსოსის 2020 წლის 29 სექტემბრის მეილით? იყო თუ არა ჩამოთვლილი დოკუმენტები ხელმისაწვდომი გიორგი კაკაურიძისთვის ან შპს დაქსოსისთვის?**

შპს დაქსოსმა სხვა დოკუმენტებთან ერთად, მოითხოვა საექსპერტო დასკვნის შედგენისათვის აუცილებელი შემდეგი დოკუმენტები: ა) სრული ბუღალტრული დოკუმენტაცია; ბ) ხელშეკრულებები მიმწოდებლებთან; გ) სხვა მნიშვნელოვანი ხელშეკრულებები და დოკუმენტები. აღნიშნული დოკუმენტების უმრავლესობა არ იყო გიორგი კაკაურიძისა და შპს დაქსოსისათვის დამოუკიდებლად ხელმისაწვდომი.
- 3. რამდენია შპს თარსისის 50%-იანი წილის საბაზრო ღირებულება?**

მხარეები არ ხდიან სადავოს წილების საბაზრო ღირებულებას. შესაბამისად, უდავო ფაქტია, რომ კომპანიის წილების 50%-ის საბაზრო ღირებულება შეადგენს 300,000.00 (სამასი ათასი) აშშ დოლარს.
- 4. საარბიტრაჟო მოპასუხის მიერ არაერთხელ იქნა აღნიშნული და მითითებული, რომ პანდემიისა და ეროვნული ვალუტის გაუფასურების ფონზე, აშკარად იკვეთებოდა კაპიტალის გაზრდის აუცილებლობა, ვინაიდან კომპანიის ბრუნვა მნიშვნელოვნად იქნა შემცირებული და ამასთანავე, ლარის გაუფასურებამ გამოიწვია საოპერაციო ხარჯების გაზრდა, რის შესახებაც მუდმივად ხდებოდა საარბიტრაჟო მოსარჩელის ინფორმირება. რამდენად შემცირდა კომპანიის ბრუნვა და რამდენად გაიზარდა საოპერაციო ხარჯები?**

გიორგი კაპანაძეს გიორგი კაკაურიძესათვის არ მიუწოდებია დოკუმენტები კაპიტალის გაზრდის აუცილებლობასთან დაკავშირებით და არც საქმეში წარმოუდგენია გიორგი კაპანაძეს ასეთი დოკუმენტები მტკიცებულებების სახით.
- 5. გაუარესდა თუ არა ტექსტილის ხარისხი იმ მიმწოდებლეთა მიერ, რომელთა ჩანაცვლებაც მოხდა მოგვიანებით?**

გიორგი კაპანაძეს გიორგი კაკაურიძესათვის მიმწოდებლის შეცვლის და იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად გაუარესდა ტექსტილის ხარისხი იმ დროს არსებული მიმწოდებლის მიერ, არ მიუწოდებია დოკუმენტაცია. ასევე, აღნიშნული დოკუმენტაცია საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებების სახით.

6. რა თარიღის არის WhatsApp-ის კომუნიკაცია, რომელიც მოცემულია მოსარჩელის დანართ No. 6-ში

2020 წლის 20 აგვისტო.

7. შპს თორის დირექტორის მიერ გიორგი კაკაურიძისთვის შეცდომით გაგზავნილი შეტყობინების შემდეგ, მოხდა თუ არა დაკავშირება და იმის დაზუსტება თუ რა თანხის დაბრუნებაზე საუბრობდა იგი შეტყობინებაში?

გიორგი კაკაურიძემ, whatsapp-ის კომუნიკაციის განმავლობაში და მის შემდეგაც, სამჯერ სცადა გიორგი კაპანაძესთან ტელეფონით დაკავშირება, თუმცა გიორგი კაპანაძე არ პასუხობდა გიორგი კაკაურიძეს. ამის შემდგომ, გიორგი კაკაურიძე დაუკავშირდა შპს თორის დირექტორს, რომელმაც უპასუხა შემდეგი: „თქვენ ვინ ბრძანდებით? ჩემი კომპანიის ურთიერთობა შპს თარსისისთან კონფიდენციალურია და თუ შეიძლება ამ საკითხთან დაკავშირებით აღარ დამიკავშირდეთ“. რის შემდეგაც მან გათიშა ტელეფონი და აღარ პასუხობდა გიორგი კაკაურიძის ზარებს.

8. რა დანიშნულება ჰქონდა შპს თორის დირექტორის ელ. წერილში ნახსენებ თანხას, რომელიც შპს თორის უკან უნდა გადმოერიცხა? ითვალისწინებდა თუ არა შპს თორთან დადებული ხელშეკრულება რაიმე თანხის გადმორიცხვას?

გიორგი კაპანაძეს გიორგი კაკაურიძისთვის არ მიუწოდებია შპს თორსა და შპს თარსისის შორის დადებული ხელშეკრულება. არ არის ცნობილი რა დანიშნულება ჰქონდა ელ. წერილში ნახსენებ თანხას.

9. ჰყავს თუ არა შპს თარსისის კრედიტორები, რომელთა მოთხოვნებიც ვადამოსულია 2020 წლის სექტემბრის თვის მდგომარეობით?

მიმდინარე საარბიტრაჟო საქმის განხილვის დროისათვის შპს თარსისის არ გააჩნია კრედიტორთათვის ვადამოსული დავალიანება.

10. ფაქტობრივად რა საქმიანობას ახორციელებს გიორგი კაკაურიძის მიერ 5 სექტემბერს დაფუძნებული კომპანია შპს ჯორჯიან გულდზ?

შპს ჯორჯიან გულდზი ახორციელებს იმავე საქმიანობას, რაც მითითებულია მის წესდებაში, მათ შორის ტექსტილის ნაწარმის დამზადება და რეალიზაცია.

11. შპს თარსისის განცხადების [გვ. 47] პარაგრაფი #4-ის პირველ წინადადებაში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. ის უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„ამასთან, წესდებაზე ხელმოწერის მომენტში, კომპანიის ერთ-ერთი პარტნიორი, რომელიც ამჟამად კომპანიის დირექტორია, გიორგი კაპანაძე ჯერ არ წარმოადგენდა კომპანიას.“